

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის  
აკადემია



სამხედრო საეჭის პროგრამების  
კატალოგი

2021 სასწავლო წელი

# აკადემიის შესახებ

სამხედრო სასწავლებლების ისტორია საქართველოში 1918 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადების საკითხი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა“, რომლის თანახმად იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს უმაღლეს სასწავლებელს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან, სასწავლებლის დისლოკაციის ადგილად ქალაქი გორი განისაზღვრა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავე წელს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. ეროვნული თავდაცვის აკადემიის მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ.

# აკადემიის შესახებ


დღეისათვის აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების თავსებადი განათლებას მიღების, იუნკერების/მსმენელების ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, უმაღლესი სამეთაურო სკოლა, ენობრივი მომზადების სკოლა, საბაკალავრო პროგრამა, სამაგისტრო პროგრამა, კვლევითი ცენტრი და დისტანციური სწავლების ცენტრი. აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, როგორც სამხედრო და ტექნიკური, ასევე სამეცნიერო სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორები, აკადემიური/მონწვეული პერსონალი. აკადემიაში ხორციელდება ენების ინტენსიური სწავლება (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, რუსული ენები და ქართული ენა (ეთნიკური უმცირესობებისთვის)).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/მსმენელები /აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და იღებს ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით. ასევე უზიარებს ცოდნა-გამოცდილებას.

აკადემიაში სწავლა უფასოა, ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. კურსდამთავრებულების 100% იან დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნკერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია აკადემიური მოსწრებისა და სამხედრო საქმეში მიღწეული წარმატების შესაბამისად.



# რეჟიმის მისაღება



## აკადემიის რეჟორი ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, რომელიც ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ასევე ფუნქციონირებს უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. აკადემია ავტორიზებულია და პროგრამები აკრედიტებულია სსიპ - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აკადემიაში სწავლით თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი გახდეთ სამხედრო-საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელი ნაწილი და ამავდროულად მიიღოთ უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

აკადემიაში თქვენ დაგხვდებათ ისეთი გარემო, სადაც შეძლებთ განავითაროთ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი პოტენციალი, ამასთანავე კარგად გაიცნოთ ერთმანეთი და გამორჩეულ გუნდთან ერთად დადგეთ ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე. აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან თითოეულ თქვენგანს აუცილებლად ექნება განცდა იმისა, რომ აკადემია არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა აღიზარდოს სამშობლოს დამცველი, სადაც ფასდება თითოეული ახალგაზრდის ნიჭი, შემართება და მოტივაცია, სადაც შეძლებთ საკუთარი თავის სრულად რეალიზებას იმ მიზნებისათვის, რისთვისაც მოხვედით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. იცოდეთ, რომ პირადად მე და აკადემიის სრული პირადი შემადგენლობა, ყოველთვის მხარს დაგიჭერთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და სწორად გამოყენებაში.

ჩვენი საქმიანობა მიმართულია იუნკერებზე და მსმენელებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე, სადაც მოღვაწეობენ უდიდესი გამოცდილების და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები და პროფესორ-მასწავლებლები. სწორედ, იუნკერებისათვის და მსმენელებისათვის სამხედრო მოსამსახურის სპეციფიკის გაცნობა, მისი ძირითადი საფუძვლების სწავლება, სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და აკადემიური განათლების მიცემა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მიზანია.

პირადად ჩემთვის უდიდეს პატივს წარმოადგენს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის თანამდებობაზე სამსახური. ჩვენი აკადემიის სამეთაურო რგოლი, აკადემიის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებულად ვაყალიბებთ იუნკერთა და მსმენელთა აღზრდის, აკადემიური მოსწრებისა და ლიდერობის განვითარების კულტურას, რაც წარმოადგენს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

აკადემიის სტუდენტები ატარებენ "იუნკერის" სახელს და ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულება საკუთარი ქვეყნისა და იმ ახალგაზრდა ვაჟკაცების ხსოვნის წინაშე, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში საკუთარი მკერდით, გმირულად დაიცვეს სამშობლო კოჭორტაბახმელას მისადგომებთან.

ჩვენი წმინდა ვალდებულება, ვიყო ერთგულნი სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირული მამულიშვილების ნათელი ხსოვნისა.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემი მისაღება მინდა დავამთავრო პირველი ქართული სამხედრო სკოლის უფროსის, საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძის იუნკერებისადმი მოწოდებით: "დაე მუდამ თქვენთან იყოს გამარჯვება".

გისურვებთ წარმატებებს, გვფარავდეს ღმერთი!

პატივისცემით,

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე.



# რექტორის მიმართვა

დემოკრატიული, ძლიერი და წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უზრუნველყოფა ეროვნული ფასეულობების, ღირებულებების, ლიდერი-სათვის დამახასიათებელი აუცილებელი უნარ-ჩვევების, საუკეთესო სამხედრო და აკადემიური განათლების მქონე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოფიცერთა შემადგენლობით.

აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით, აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, სამეთაურო-სამშაბო კოლეჯი, უმაღლესი სამეთაურო სკოლა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, ენობრივი მომზადების სკოლა, სწავლების პროცესის მხარდაჭერის ცენტრი, სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი და დისტანციური სწავლების ცენტრები.

აკადემიის საქმიანობა დაფუძნებულია იუნკერზე/მსმენელზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე. აკადემიაში, დასაქმებულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები, ინსტრუქტორები, აკადემიური და მონვეული პერსონალი, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს იუნკერთა და მსმენელთა აღზრდა შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: სამშობლო, ღირსება, ერთგულება, სიმამაცე, პატივისცემა, პატიოსნება და უანგარო სამსახური.

აკადემია ბოლნისის პროცესის მიზნების მისაღწევად წარმატებით ახორციელებს: სწავლა/სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, პარტნიორი ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან უწყვეტ თანამშრომლობას, იუნკერების/ მსმენელებისა და აკადემიის პირადი შემადგენლობის მოზილობას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. მემოხსენებული აქტივობების მეშვეობით, აკადემია სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ არსებულ დასავლურ სტანდარტებს.

აკადემია, როგორც სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად დგას გამოწვევების წინაშე. ჩვენ მიერ ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, უპირველეს მიზანს წარმოადგენს, აკადემიის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის უზრუნველყოფა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების მოთხოვნებთან. ასევე, იუნკერებისა და მსმენელებისათვის ისეთი სახის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემა, რაც დააკმაყოფილებს თავდაცვის სისტემაში არსებულ საჭიროებებს. გარდა ამისა, აკადემია მუდმივად უნდა იყოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მოთხოვნებთან თანხვედრაში.

აკადემიის პირადი შემადგენლობა, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირები უნდა ითავისებდნენ აკადემიის მნიშვნელობასა და როლს მომავალი სამხედრო ლიდერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, რაც უზრუნველყოფს აკადემიის მზობას - წარმატებით გაართვას თავი მის წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას, მათ შორის პანდემიურ ვითარებას, დისტანციურ სწავლებას და სხვა.

2020 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის შემდგომ, 2021 წლისათვის აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის აკადემიის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს: იუნკერთა/მსმენელთა სამხედრო მომზადების დონის ამაღლება, ინსტიტუციური განვითარება, საგანმანათ-ლებლო პროგრამების განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება, დისტანციური სწავლების ცენტრის განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, პირად შემადგენლობაზე ზრუნვა, ლოჯისტიკური განვითარება და აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

ჩემთვის დიდი პატივია, ვემსახურო ჩვენს ქვეყანას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებს, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის რანგში. ჩვენ, აკადემიის სამეთაურო რგოლი, თითოეულ თანამშრომელთან ერთად, ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა მიღწეულ იქნას აკადემიის მიერ დასახული მიზნები. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, წარმოგიდგინთ 2021 წლის ხედვას, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტს.

# რეჟიმის ხედვა

## 1. იუნკერთა/მსმენელთა სამხედრო მომზადება

აკადემიისათვის უმნიშვნელოვანესია ღირსეული მომავალი სამხედრო ლიდერების მომზადება. აკადემიის ყველა კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს ლიდერისათვის დამახასიათებელი აუცილებელი უნარ-ჩვევები და სამხედრო მომზადების ისეთი დონე, რომელიც განაპირობებს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მათ კონკურენტუნარიანობას.

ჩვენ განვახორციელებთ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აკადემიის ყველა კურსდამთავრებული იყოს საუკეთესო საუკეთესოთა შორის.

### 1.1. სამხედრო მომზადების დონის ამაღლება

აკადემიის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იუნკერებს/მსმენელებს გააჩნდეთ საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პერსონალისთვის განსაზღვრული სამხედრო მომზადების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

სამხედრო მომზადების დონის ამაღლებისათვის, 2021 წელს ჩვენ ვგეგმავთ აკადემიაში არსებული სამხედრო დისციპლინების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას საბრძოლო მომზადების (ტაქტიკისა და სამხედრო-მხარდაჭერი საგნები) მიმართულებით. ხსენებულ პროცესში მთავარი ორიენტირი იქნება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა თავდაცვის ძალების მოთხოვნებთან და არსებულ გამოწვევებთან.

გარდა ამისა, თეორიულ სწავლებასთან ერთად ხელს შევუწყობთ იუნკერთა/ მსმენელთა სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. აკადემია პრაქტიკულ სავარჯიშოებს და სავლელ სწავლებებს უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებით. ვგეგმავთ, იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის ერთობლივ სავლელ სწავლებებს/გასვლებს მოქმედ სამხედრო მისამსახურებებთან ერთად, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) მიერ განხორციელებულ სამხედრო წვრთნებში.

2021 წელს აქტიურად გაგრძელდება თანამშრომლობა უცხო ქვეყნების პარტნიორ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, თანამშრომლობა ასევე განხორციელდება დისტანციურ რეჟიმშიც. აკადემია უზრუნველყოფს დაგეგმილ პროგრამებში იუნკერთა/მსმენელთა მონაწილეობის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

### 1.2. იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა

აკადემიაში უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს ლიდერის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების იუნკერთათვის შესწავლა. სწავლების პროცესში, იუნკერთა მიერ უნარ-ჩვევების გამოუმუშავებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს: იუნკერთა სხვადასხვა დონის სამეთაურო თანამდებობებზე განაწილებასა და როტაციამზე, ქვედანაყოფებში პრაქტიკის მიღებაზე, ამოცანით მართვის ფილოსოფიის შესწავლაზე.

აკადემიამ უნდა უზრუნველყოს, რომ იუნკერები იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე, სამხედრო ლიდერის დამახასიათებელი თვისებებითა და საჭირო ცოდნით აღჭურვილნი. იუნკერებს უნდა გააჩნდეთ მზაობა მშვიდობიანობის დროსა და კრიზისულ ვითარებაში მართონ მცირე ზომის ქვედანაყოფი.

### 1.3. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება

სამხედრო მოსამსახურის ლიდერად ჩამოყალიბების განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია იუნკერთათვის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია აკადემიის მიერ განხორციელებულ პროგრამებში კრიტიკული აზროვნების, სამხედრო მოქმედების სცენარების და მოქმედების შემდგომი ანალიზის ინტეგრირება.

აკადემიაში სწავლის პერიოდში იუნკერები უნდა მიეჩვივნონ ანალიტიკურ, კრიტიკულ და კრეატიულ აზროვნებას, გაითავისონ დისციპლინისა და კანონის უზენაესობა. აუცილებელია იუნკერებს ჩამოუყალიბდეთ სახელმწიფოებრივი აზროვნება და გააცნობიერონ თავისი, როგორც რიგითი მოქალაქის, ასევე, სამხედრო მოსამსახურის ვალი სამშობლოს წინაშე.

# რეპტორის ხედვა

## 1.4. ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება

სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე, შეუძლებელია იუნკერს/მსმენელს ჰქონდეს შესაბამისი ამტანობა და სიმტკიცე სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად. იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის მაღალი ფიზიკური მომზადების დონის გაუმჯობესებისთვის, აკადემია 2021 წელს კვლავ განახლებს საჭირო სპორტულ ინვენტარს.

ფიზიკური მომზადებისას პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ზოგადი სამხედრო ამტანობის/გამძლეობის ვარჯიშები, სამხედრო ფიზიკური მომზადებისა და ფიზიკური მომზადების ინდივიდუალური (სპეციალური) პროგრამების შედგენა/ განხორციელება.

აკადემიის ფიზიკური მომზადების პროგრამები უნდა ემსახუროდეს იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის ფიზიკური მომზადების დონის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და ინდივიდუალური მომზადების დონის ამაღლებას.

## 2. ინსტიტუციური განვითარება

აკადემია მუდმივად არის განვითარებაზე ორიენტირებული. სწორედ ამიტომ, 2021 წელს ჩვენ, თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, ვგეგმავთ: მექანიკის ინჟინერიისა და საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, უსაფრთხოების კვლევების და თავდაცვის (ეროვნული) რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამების დაწყებას.

2021 წელს დაიწყება შესაბამისი სამუშაოები აკადემიური უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურის, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებლად, რათა აკადემიამ აიმაღლოს საგანმანათლებლო დანვსებულების სტატუსი და გახდეს სრულყოფილი უნივერსიტეტი.

## 3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ვინაიდან, აკადემია არის საქართველოში ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სათანადოდ ვიზრებთ რა ჩვენ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობას ქვეყნისა და საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის. 2021 წელს აკადემიამ უნდა უზრუნველყოს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, რის შემდგომაც თავდაცვის ძალების მოთხოვნების შესაბამისად მოხდება პროგრამების განახლება.

აკადემია 2021 წლისათვის დაიწყებს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რათა განხორციელდეს უმაღლესი სამეთაურო კურსის და რეზერვის ოფიცრის მომზადების ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

თავდაცვის ძალებში ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებისათვის აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები, თავიანთი სასწავლო პროგრამების ფარგლებში, განახორციელებენ STANAG 2 დონეზე ინგლისური ენის შესწავლას.

გარდა ამისა, 2022 წელს დაგეგმილი აკადემიის ავტორიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, 2021 წელს აკადემია სათანადო ყურადღებას დაუთმობს ავტორიზაციისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს, კერძოდ: აკადემიის სამუშაო პროცესის ანალიზი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.

## 4. სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების გაუმჯობესება

2021 წელს აკადემიამ განვითარდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აკადემია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას ორიენტირებული უნდა იყოს: თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნებზე, აკადემიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერ, სხვადასხვა საგრანტო პროექტის მოპოვებისა და განხორციელებისათვის საჭირო კვლევებზე.

ასევე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრმა აქტიურად უნდა დაიწყოს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად პრიორიტეტული მიმართულებებით კვლევითი საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება.

# რეჟიმის ხედვა

აკადემიამ წახალისებს პირადი შემადგენლობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობასა და მათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გარდა ამისა, მხარს დაუჭერს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სამოქალაქო პირადი შემადგენლობის ჩართულობით კონფერენციების ჩატარებაზე.

ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2021 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების მიზნით, აკადემია განავითარებს ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემას, რაც საქართველოს თავდაცვის სისტემაში დასაქმებულ, კვლევითი საქმიანობით დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ წვდომა მსოფლიოში არსებულ ელექტრონული სახის წიგნადი ფონდის მნიშვნელოვან ნაწილზე.

## 5. დისტანციური სწავლების ცენტრის განვითარება

საგანმანათლებლო სივრცეში არსებული უახლესი გამოწვევიდან გამომდინარე, 2021 წელს აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრმა უნდა გააფართოვოს მისი საქმიანობის არეალი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რათა აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესის წარმართოს შეფერხების გარეშე. 2021 წელს უნდა მოხდეს ცენტრის პირადი შემადგენლობის გადამზადება და უცხოელი პარტნიორების გამოცდილების გამოარება. ცენტრი უზრუნველყოფს ინგლისური ენის ცოდნის შენარჩუნებისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნების შესაბამისად სხვა საჭირო სასწავლო კურსების შექმნას/განხორციელებას.

აკადემიის იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის, თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სამოქალაქო პირებისათვის, ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობით გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, ცენტრის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) სტანდარტებთან დაახლოვებას.

## 6. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

ორმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების ფარგლებში, აკადემიამ კვლავ გააგრძელებს ურთიერთობების გაღრმავებას აშშ-ის, კანადის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონების უნივერსიტეტებთან, სამხედრო აკადემიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

თანამშრომლობის ფარგლებში, უნდა გაგრძელდეს მოკლევადიანი/ გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები იუნკერებისა და აკადემიის პირადი შემადგენლობისათვის.

2021 წელს აკადემიამ უნდა გაზარდოს პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების/ კადეტების, ინსტრუქტორების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი იქნებიან აკადემიაში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესებში.

აკადემია მზად უნდა იყოს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით ყველა შესაძლო გამოწვევისათვის. ურთიერთობების გაღრმავების პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკადემიამ ასევე უნდა უზრუნველყოს პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან დისტანციური ფორმით თანამშრომლობა.

## 7. პირად შემადგენლობაზე ზრუნვა

აკადემიის წინაშე არსებული ნებისმიერი გამოწვევის გადასალახად, საჭიროა არა მხოლოდ კარგი ლიდერი, არამედ შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მქონე პირადი შემადგენლობა. მტკიცედ მნამს, რომ კომპეტენტური პირადი შემადგენლობა ნებისმიერი ამოცანის წარმატებით შესრულების ფუნდამენტია.

გემოსსენებულის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2021 წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება პირად შემადგენლობის განვითარებაზე. აკადემიაში უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების კონცეფცია, ასევე მალალკვალიფიციური აკადემიური/მონწველი პერსონალის მოზიდვის სტრატეგია.



# რექტორის ხელვა

პირადი შემადგენლობის განვითარების მხარდასაჭერად, აკადემია გეგმავს განახორციელოს პროფესიული განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აკადემიის პირად შემადგენლობას შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების მიერ დაგეგმილ სახვადასხვა ღონისძიებებში.

გარდა ამისა, 2021 წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აკადემიის პირადი შემადგენლობის სოციალურ მხარდაჭერაზე. აუცილებელია, მათ სოციალურად რთულ სიტუაციებში ჰქონდეთ აკადემიის თანადგომის იმედი.

## 8. ლოჯისტიკური განვითარება

სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, აუცილებელია, აკადემია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, რისთვისაც 2021 წელს განხორციელდება აკადემიის მიერ შემუშავებული ლოჯისტიკური განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს ინფრასტრუქტურული თვასაზრისით იუნვერთათვის დამატებითი სერვისების შექმნას, როგორცაა: სასწავლო აუდიტორიების განვითარება, აკადემიის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების განახლების მიზნით სარემონტო სამუშაოების ჩატარება, აკადემიის უსაფრთხოებისა და საბრძოლო მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

## 9. აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება

აკადემიაში იუნვერთა, მსმენელთა და მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვისათვის აუცილებელია გაიზარდოს აკადემიის ცნობადობის დონე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აკადემია გეგმავს სამიზნე ჯგუფების განსაზღვრასა და ინფორმირებას.

აკადემიამ უნდა განახორციელოს საქმიანობისა და მიღწევების შესახებ საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, წარმატებული იუნვერების/მსმენელების და პროფესორ-მასწავლებლების წარმოჩენით საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია.



# აკადემიის ხელმძღვანელი პირები



აკადემიის რეჟისორის  
პირველი მოადგილე  
ვლადიმერ კვიციანიანი



აკადემიის რეჟისორის  
მომადგილე  
ვლადიმერ კვიციანიანი  
დავით რაზმაძე



აკადემიის რეჟისორის მოადგილე  
შტაბის უფროსი  
ვლადიმერ კვიციანიანი  
ივანე გვრიტიშვილი



აკადემიის სერჟანტი  
მთავარი სერჟანტი  
ზაბა დავითაძე



## ერთვნილი თავდაცვის აკადემიის სერჟანტთა კორპუსი აკადემიის ხელმძღვანელობასთან ერთად "მუდამ სამშობლოს სამსახურში"



# უმაღლესი სამეთაურო სკოლა



**მეთაური**  
**პოლკოვნიკი**  
**მამუკა ქავთარაძე**

## თავდაცვისა და უსაფრთხოების უმაღლესი პროგრამა

განათლების საფეხური, რომელიც უზრუნველყოფს ოფიცერებისთვის (ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი) და სამოქალაქო პირებისათვის სტრატეგიული დონის განათლების გადაცემას, რათა მათ შეძლონ იმსახურონ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა მენეჯერულ თანამდებობებზე. სწავლის დასრულების შემდეგ ეძლევათ შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს ოფიცრები და სამოქალაქო პირები სახელმწიფო უსაფრთხოების და თავდაცვის მართვის საკითხებში სტრატეგიულ დონეზე.

მიმდინარეობს პროგრამის ჩამოყალიბების პროცესი...

# სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი



**კოლეჯის მეთაური  
ვიცე-პოლკოვნიკი  
ლაშა გრიგოლია**




**ლიდერებისა და  
მენეჯმენტის  
კურსის უფროსი  
ვიცე-პოლკოვნიკი  
ბექან კიკნაშვილიძე**



**ორის თეორიისა და  
სამხედროს  
ხელშეწყობის კურსის  
უფროსი  
ვიცე-პოლკოვნიკი  
გიორგი ხაბაძე**



**ბაერთიანებული  
ერთობლივი  
ოპერაციების უფროსი  
ვიცე-პოლკოვნიკი  
დავით დავითიძე**



**სამხედრო ოპერაციების  
პრინციპების კურსის  
უფროსი  
პოლკოვნიკი  
შოთა თხუფორია**

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**

სამეთაურო საშტაბო პროგრამა

**განათლების საფეხური**

ოფიცერთა შუალედური სამხედრო განათლება (ტაქტიკურ-ოპერატიული დონე)

**საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა**

39 სასწავლო კვირა

**სასწავლო პროგრამის დროის მოცულობა**

1772 სთ.

**სწავლების ენა**

ქართული



## საბანაანათლებლო პროგრამის მიზანი

საქართველოს თავდაცვის სისტემის მაიორის და ვიცე-პოლკოვნიკის წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეებისათვის თანამედროვე სამხედრო განათლების მიცემა, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე სამეთაურო და საშტაბო უნარ-ჩვევების განვითარება, რათა არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე ოფიცრებმა შეძლონ დაგეგმონ და აღასრულონ ოპერაციები და სამხედრო კამპანიები.

## საბანაანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან

ა) ოფიცრები „მაიორი“-ს და „ვიცე-პოლკოვნიკის“ სამხედრო წოდებით, რომლებსაც გავლილი აქვთ ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების პროგრამები და აქვთ უმაღლესი განათლება;

ბ) ოფიცრები „ვიცე-პოლკოვნიკის“ სამხედრო წოდებით, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება ან/და სრულად არა აქვთ გავლილი ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების პროგრამები;

გ) ოფიცრები „მაიორის“ სამხედრო წოდებით, რომლებსაც არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება და გავლილი აქვთ უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების II საფეხური-ვაკიტნის საკარიერო მომზადების პროგრამა.

დ) თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე შესაბამისი წესით ჩარიცხული იუნკერები.

## მსმენელთა / იუნკერთა რაოდენობა ჯგუფში

**პროგრამის განხორციელებისათვის მსმენელთა/იუნკერთა რაოდენობა:**

მაქსიმალური რაოდენობა - 78 მოსამსახურე;

ოპტიმალური რაოდენობა - 60 მოსამსახურე;

მინიმალური რაოდენობა - 45 მოსამსახურე;

**სავალდებულო სასწავლო მოდულების მსვლელობისას:**

მაქსიმალური რაოდენობა 78 მოსამსახურის დროს

- 6 ჯგუფი 13-13 მსმენელი/იუნკერი;

**ოპტიმალური რაოდენობა 60 მოსამსახურის დროს**

- 6 ჯგუფი 10-10 მსმენელი/იუნკერი;

**მინიმალური რაოდენობა 45 მოსამსახურის დროს**

- 3 ჯგუფი 15-15 მსმენელი/იუნკერი;

**არჩევითი სასწავლო კურსების მსვლელობისას:**

მაქსიმალური რაოდენობა კურსის ჯგუფში - 16 მსმენელი/იუნკერი;

მინიმალური რაოდენობა კურსის ჯგუფში - 8 მსმენელი/იუნკერი;

მსმენელის/იუნვერის მიერ სასწავლო პროგრამის საკონტაქტო საათების 10% და მეტის გაცდენის შემთხვევაში, მსმენელის/იუნვერის საკითხი სასწავლო პროგრამიდან ამორიცხვის თაობაზე განიხილება აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ.

სამეთაურო საშტაბო პროგრამა ასევე არის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ნაწილი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო წოდების ოფიცერი (იუნვერი) სრულად ფასდება სამეთაურო-საშტაბო პროგრამის შეფასების სისტემის მიხედვით, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სამოქალაქო პირის და სპეციალური წოდების მოსამსახურის (იუნვერი) შეფასება ხორციელდება მხოლოდ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის (კურიკულუმის) შეფასების სისტემის შესაბამისად.

თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო წოდების ოფიცრების მხრიდან სამეთაურო-საშტაბო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მოდულების/კურსების გაუვლელობა იწვევს სამეთაურო-საშტაბო პროგრამიდან სამხედრო წოდების ოფიცრის ამორიცხვას, რაც საფუძველია სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის სამაგისტრო პროგრამაში მისი სწავლის სტატუსის შეჩერების. მისი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საკითხი შესაძლებელია, რომ განხილული იყოს აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად.



### დამახსოვრება:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კონფლიქტების არსის და მათი წარმოშობის მიზეზების აღწერა;
- ბრიგადის თავდაცვითი და თავდასხმითი ოპერაციების დადგენა;
- საინფორმაციო და შეცდომაში შეყვანის ოპერაციების ამოცნობა;
- ლიდერობაში ადამიანური ასპექტების ჩამოთვლა;
- თავდაცვის ძალებისა და მისი ფუნქციების აღწერა;
- სამხედრო ხელოვნების განვითარების ეტაპების ამოცნობა;
- სამხედრო ინტერვენცია, ოკუპაცია და ანექსიის დადგენა;
- ეროვნული უსაფრთხოების სისტემის აღწერა;
- კომუნიკაციის ფორმების და ხერხების აღწერა.

### გაგება:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახსნას სრული სპექტრის ოპერაციების საფუძვლები, ომის პრინციპები და სპეციალური ოპერაციების საფუძვლები;
- ამოიცნოს სავარაუდო მონინააღმდეგის და რეგიონის ქვეყნების შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და ტაქტიკური მოქმედებები;
- გადმოსცეს დაზვერვის, საცეცხლე მხარდაჭერის, მანევრის, უზრუნველყოფისა და საჰაერო თავდაცვის ოპერაციების პრინციპები ბრიგადის დონეზე;
- ურთიერთდააკავშიროს ოპერატიული ხელოვნება და დიზაინი;
- ახსნას კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები ეროვნულ დონეზე;
- განმარტოს სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობა და საინფორმაციო ოპერაციები;
- ამოიცნოს და ურთიერთდააკავშიროს ტრანსფორმაციული და ავთენტური ლიდერობა, სტრატეგიული ლიდერობა და ამოცანით მართვის ფილოსოფია;
- ახსნას თავდაცვის ძალებისთვის რესურსების დაგეგმვის, ბიუჯეტის პროგრამირების, მართვის არსი და პრინციპები;
- განავრცოს საბრძოლო მომზადების ორგანიზების საკითხები;
- გადმოსცეს ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის არსი, თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკა და სტრატეგია;

- მოახდინოს საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხების ილუსტრირება სამხედრო- პოლიტიკურ ასპექტში;
- ურთიერთდააკავშიროს ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და დოქტრინალური ინოვაციების ზეგავლენა ომებისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე;
- განმარტოს საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქცია და როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში;
- გადმოსცეს საქართველოს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის არსი;
- მიუსადაგოს ოკუპირებული ტერიტორიების სიტუაცია, მისგან მომდინარე საფრთხეებს;
- ახსნას ჰიბრიდული, ასიმეტრიული ომის არსი და პრინციპები;
- განმარტოს საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის საკითხები (სტრატეგიული კომუნიკაციები);
- მიუსადაგოს პრობლემის გადასაჭრელად კრიტიკული აზროვნება. რიის არსი, თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკა და სტრატეგია;

### გამოყენება:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მიმოიხილოს შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის არსი და მოთხოვნები;
- გამოიყენოს სამხედრო გადანაცვლებების მიღების პროცესი და ინფორმაციის მართვა ბრიგადის დონეზე;
- განაზოგადოს კამპანიის არსი და დაგეგმვის პროცედურები;
- გააკეთოს სტაბილურობის ოპერაციების დაგეგმვის პროცესის მონახაზი;
- გამოავლინოს მეთაურის როლი სამსახურეთორივი საქმიანობისას;
- აწარმოოს საბრძოლო მომზადების სახელმძღვანელო და სააღრიცხვო დოკუმენტები;
- განახორციელოს ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა;
- შეარჩიოს აკადემიური ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი;
- ჩამოაყალიბოს კომუნიკაციის ფორმები და ხერხები.



## განალიზება:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის დროს შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის საკითხების გამიჯვნა;
- კონფლიქტების ზოგადი განსხვავების გაანალიზება;
- ფაქტებისა და მონაცემების დამუშავება და გაანალიზება;
- ზოგადი პრობლემების გადასაჭრელად კრიტიკული აზროვნების უნარის გამოყენება;
- ორგანიზაციულ დონეზე ლიდერობის წინაშე არსებული გამოწვევების გაანალიზება;
- თავდაცვის ძალების მიერ შესასრულებელი ამოცანების კლასიფიცირება;
- სამხედრო ხელოვნების განვითარების ეტაპების დიფერენციაცია;
- გამოჩენილი მხედართმთავრების სტრატეგიის, ტაქტიკის, ჩატარებული ბრძოლების გაანალიზება, სამხედრო ნიჭიერების გამოკვეთა;
- საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს ანალიზი და სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების შედარება;
- თანამედროვე ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომების გამომწვევი მიზეზების შეფასება;
- თანამედროვე კონფლიქტების გამიჯვნა და თემატური დახარისხება.



## შეფასება:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისთვის სტანდარტული მეთოდების შერჩევა;
- სავარაუდო მონინააღმდეგის და რეგიონის ქვეყნების ტაქტიკური მოქმედებების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების მომზადება;
- ქვედანაყოფის თავდაცვით და თავდასხმით ოპერაციებში მოქმედებისას სამხედრო გადანყვეტილებების მიღების პროცესის, ინფორმაციის ანალიზისა და მართვის უნარის შეფასება;
- სამხედრო კამპანიის დაგეგმვის და აღსრულების პროცესის დაკავშირება;
- საბრძოლო სიძლიერის ელემენტების განსაზღვრა;
- სტაბილურობის, შენარჩუნებისა და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციების გეგმების შერჩევისას რეკომენდაციების მიცემა;
- დაქვემდებარებულებზე პასუხისმგებლობების დელეგირება;
- საბრძოლო მომზადების დაგეგმვის სგმ პროცესთან დაკავშირება;
- წვრთნებისა და შეფასების პროგრამების გამოყენებით სწავლებების დაგეგმვა და შეფასება;
- თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკისა და სტრატეგიების გათვალისწინებით სამხედრო ოპერაციების ანონ-დანონვა და გაანალიზება;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების განსაზღვრა და შეფასება;
- ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისათვის შესაფერისი მოდელებისა და გადანყვეტილების მიღების მეთოდების შერჩევა და რეკომენდაციების მიცემა;
- ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დაკავშირება.



## შექმნა:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამოყენებით სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა;
- ოპერატიულ დონეზე სრული სპექტრის ოპერაციებში საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირება/კომბინირება;
- ქვედანაყოფის მართვისა და ხელმძღვანელობის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
- გუნდის შექმნა-ჩამოყალიბება;
- გრძელვადიანი, მოკლევადიანი და უახლოესვადიანი დაგეგმარების პერიოდების აწყობა/შეერთება;
- საბრძოლო მომზადების გრძელვადიანი საორგანიზაციო მითითების გამოშვება.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა—განმარტებითი მეთოდი, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება და ა.შ.

სასწავლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი სასწავლო მოდულების/კურსების სილაბუსებში.



სამეთაურო-საშტაბო პროგრამის მსმენელის/იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 სექტემბრის N542 ბრძანებით დამტკიცებული - „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის“ შესაბამისად. მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას და სხვა სახის საქმიანობას საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. მსმენელთა/იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

მსმენელთა/იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

მაქსიმალური შეფასების 94-100 - A (ფრიადი);

მაქსიმალური შეფასების 88-93 - B (ძალიან კარგი);

მაქსიმალური შეფასების 82-87 - C (კარგი);

მაქსიმალური შეფასების 76-81 - D (დამაკმაყოფილებელი);

მაქსიმალური შეფასების 70-75 - E (საკმარისი).

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

მაქსიმალური შეფასების 64-69 - FX (ვერ ჩააბარა);

მაქსიმალური შეფასების 0-45 0-63 - F (ჩაიჭრა).

მსმენელთა/იუნკერთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განწერილია ცალკეული სასწავლო კურსის (საგნის)/მოდულის სილაბუსში.

პროგრამის თითოეულ კურსში (საგანში) / მოდულში საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. პროგრამის თითოეულ კურსის (საგანის) / მოდულის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია შუალედური შეფასების საერთო წილის 70%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 70%.



პროგრამის თითოეულ კურსში (საგანში) / მოდულში დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 70%-ის გათვალისწინებით უგროვდება 70 ქულა. პროგრამის თითოეულ კურსის/მოდულის შუალედურ შეფასებაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო შეფასების ჩატარებისა;

გამოცდა ან დავალებება (წერთი ნამუშევარი, პრეზენტაცია და სხვა) მსმენელმა/იუნკერმა უნდა შეასრულოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით. გამოცდის ან დავალების შემონქმებისას, შესაბამისი წესით დადასტურებული პლაგიატის შემთხვევა, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას გადანერის მცდელობის, კარნახის ან გამოცდისათვის ხელის შეშლის გამო პირის გამოცდიდან მოხსნა, შეფასდება, როგორც უარყოფითი შედეგი, გამოცდის ან დავალებისათვის განსაზღვრული ქულა განუღდება და შეფასებაში დაფიქსირდება „0“ ქულა.

პროგრამის სასწავლო კურსის (საგანის) / მოდულით გათვალისწინებული გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში მსმენელმა/იუნკერმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბაროს კოლეჯში გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო კომპონენტის პირველ შეფასებამდე. საპატიო მიზეზით დამატებითი გამოცდის გამოტოვების შემთხვევაში მსმენელს/იუნკერს უფლება აქვს იგი მხოლოდ ერთხელ ჩააბაროს.

პროგრამის გათვალისწინებული გამოსაშვები გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში მსმენელმა/იუნკერმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბაროს კოლეჯში გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო პროგრამის დაწყებამდე ან მომდევნო პროგრამის გამოსაშვებ გამოცდამდე.



სასწავლო პროგრამის დასრულებისას ტარდება კომპლექსური გამოსაშვები გამოცდა (შემდგომ გამოსაშვები გამოცდა). გამოსაშვები გამოცდა წარმოადგენს შერეული შეფასების კომპონენტის ტიპის გამოცდას (წერითი, ვერბალური) და შედგება შეფასების შემდეგი კომპონენტებისაგან: 1) მრავლობითი არჩევანი ტესტი; 2) საშინაო დავალების წერითი ნაშრომი - „ესსეის“ ფორმით; 3) საშინაო დავალების ვერბალურად და გამომსახველობით სახის პრეზენტაცია. გამოსაშვები გამოცდის თითოეულ კომპონენტს საერთო გამოცდაში აქვს შესაბამისი წონა (იხილეთ კომპლექსური გამოსაშვები გამოცდის ინსტრუქცია).

კურსის (საგანის)/მოდულის დასკვნითი გამოცდის უარყოფითი შედეგით დასრულების შემთხვევაში, მსმენელი/იუნვერი გადის დამატებით გამოცდაზე შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო კომპონენტის პირველი შეფასებისა. პროგრამის გამოსაშვებ გამოცდაში უარყოფითი შედეგი „FX“-ის (ვერ ჩაბარება) მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს გავიადეს დამატებით გამოსაშვებ გამოცდაზე, რომელიც ტარდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილებით არაუადრეს 10 კალენდრული დღისა და არაუგვიანეს შემდეგი პროგრამის გამოსაშვები გამოცდის პერიოდისა.

კურსის (საგანის)/მოდულის საბოლოო შეფასების ან გამოსაშვები გამოცდის უარყოფითი შედეგი „F“-ით (ჩაჭრა) დასრულების ან დამატებით გამოცდაზე (ყველა შეფასების კომპონენტში) კვლავ „FX“-ის (ვერ ჩაბარება) და დაბალი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელის/იუნვერის საკითხი პროგრამიდან ამორიცხვის თაობაზე გადაეცემა აკადემიის აკადემიურ საბჭოს. სამეთაურო-საშტაბო პროგრამის დასრულების შემდეგ გამოითვლება მსმენელის/იუნვერის საბოლოო რეიტინგული ქულა, რომელიც წარმოადგენს სამეთაურო-საშტაბო პროგრამის 10 სავალდებულო სასწავლო მოდულის საბოლოო შეფასებებისა და გამოსაშვები გამოცდის შეფასების ქულათა ერთობლიობის შედეგს. რეიტინგი გამოითვლება შემდეგი სახით:

$$R = \frac{A x T^A + B x T^B + C x T^C + D x T^D + E x T^E + F x T^F + G x T^G + H x T^H + I x T^I + J x T^J + Z x T^Z}{T^A + T^B + T^C + T^D + T^E + T^F + T^G + T^H + T^I + T^J + T^Z}$$

სადაც:

- R - საბოლოო რეიტინგული ქულა;
- A, B, C, D, E, F, G, H, I და J – სავალდებულო სასწავლო მოდულების სილაბუსის შეფასების ქულა;
- T<sup>A</sup>, T<sup>B</sup>, T<sup>C</sup>, T<sup>D</sup>, T<sup>E</sup>, T<sup>F</sup>, T<sup>G</sup>, T<sup>H</sup>, T<sup>I</sup> და T<sup>J</sup> - შესაბამისი სავალდებულო სასწავლო მოდულების სილაბუსის საკონტაქტო საათების რაოდენობა (პროცენტული წილი);
- Z - გამოსაშვები გამოცდის შეფასების ქულა;
- T<sup>Z</sup> - სავალდებულო სასწავლო მოდულების სილაბუსების საკონტაქტო საათების რაოდენობის (პროცენტული წილი) საშუალო არითმეტიკული  $[(T^A+T^B+T^C+T^D+T^E+T^F+T^G+T^H+T^I+T^J)/10]$ ;

სამეთაურო-საშტაბო პროგრამის და კურსების წარმატებით კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გაცემა და/ან სერტიფიცირება ხდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 3 სექტემბრის N542 ბრძანებით დამტკიცებული - „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დიპლომებისა და სერტიფიკატების სტანდარტები და მათი გაცემის წესის“ შესაბამისად.

მსმენელს/იუნკერს, სამეთაურო-საშტაბო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო მოდულების და პროგრამის გამოსაშვები გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში (შეფასება „E“, „D“, „C“, „B“ და „A“) გადაეცემა სამეთაურო-საშტაბო პროგრამის დიპლომი. იმ მსმენელს/იუნკერს, რომლის საბოლოო რეიტინგული ქულა შეესაბამება შეფასებას „ფრიადი“ (A) გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

სამეთაურო-საშტაბო პროგრამის განმავლობაში მსმენელს/იუნკერს არჩევითი კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში (საბოლოო შეფასების დადებითი შედეგით დასრულება) შეიძლება გადაეცეს ამ არჩევითი კურსის გავლის სერტიფიკატი.

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე იუნკრები თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე (სამეთაურო-საშტაბო პროგრამა არის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი ნაწილი) სწავლისას ფასდებიან თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემის მიხედვით, თუმცა სამეთაურო-საშტაბო პროგრამით გათვალისწინებული დიპლომის მისაღებად აუცილებელია მათ მიერ სამეთაურო-საშტაბო პროგრამის სავალდებულო სასწავლო მოდულების და გამოსაშვები გამოცდის სამეთაურო-საშტაბო პროგრამით გათვალისწინებული დადებითი შეფასების (შეფასება „საკმარისი“ (E) და ზევით) ქულით დამთავრება.

## დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული არის კვალიფიციური, რომ დასაქმდეს თავდაცვის ძალებში ბატალიონის მეთაურად; თავდაცვის ძალების ბრიგადების, ოპერატიული და/ან გვარეობების სარდლობების შტაბების შესაბამისი სამსახურების უფროსად ან უფროს ოფიცრად; თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის და თავდაცვის სამინისტროს სისტემის შესაბამისი სამმართველოს და განყოფილების უფროსად; ასევე ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უწყებებში კვალიფიკაციით შესაბამის თანამდებობაზე.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა და მიიღოს ოფიცრის უმაღლესი სამხედრო განათლება (სტრატეგიული დონე)

# იუნკერთა სასწავლო ბატალიონი საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსი



**მეთაური**  
ვიცე-პოლკოვნიკი  
გიორგი არაბული



**ბატალიონის სერჟანტი**  
უფროსი სერჟანტი  
ზაზა ანანიასვილი

## საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის პროგრამა

## სწავლების ენა: ქართული

### საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსგავლილს (იუნკერი) გადაეცემა კურსის (BCT) დასრულების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსზე ჩარიცხული იუნკერის შეფასება ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით 100-ქულიანი სისტემით.

იუნკერის ფიზიკური მომზადების შეფასება ხორციელდება თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის ბრძანება N 02-ის შესაბამისად. იუნკერთა შეფასება მოიცავს სასწავლო კურსის შეფასებას და პროგრამის გამოსაშვებ გამოცდას.

მოდულის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომელსაც გააჩნია თავისი ქულობრივი ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. მოდულის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია მოდულის საერთო შეფასების 60 %-ით.



## საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, ზოგადი უნარების, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარების შედეგები და შესარჩევი ტურის გავლა აკადემიის შიდა წესის შესაბამისად (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და ფსიქოლოგიური შერჩევა/ გასაუბრება)

### მოტილობით (სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბადმოსვლა) ჩარიცხულ იუნკერთათვის:

შესარჩევი ტურის გავლა აკადემიის შიდა წესის შესაბამისად (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება, ფსიქოლოგიური შერჩევა/ გასაუბრება).

### სამედიცინო შემოწმება:

აკადემიაში ჩაბარების უფლება აქვთ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც სამხედრო ჰოსპიტლის სამხედრო საექიმო კომისიის მიერ გაცემულ დასკვნაში უდიქსირდებათ „ვარგისია“ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში მისაღებად. ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დასკვნების გადმოგზავნა ხდება ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში კონფიდენციალურად ელექტრონული ფორმით.





## ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება:

ფიზიკური მომზადების ტესტირება არის კომპლექსური, რომელიც შედგება 3 (სამი) ვარჯიშისაგან:

1. აზიდვა;
2. მუცლის პრესი;
3. 3200 მეტრზე სირბილი.

ტესტის თითოეულ სახეობაში პიროვნებამ უნდა დააგროვოს მინიმუმ 40 ქულა, ხოლო სამივე სახეობაში მინიმუმ 120 ქულა.

## ფსიქოლოგიური შერჩევა-გასაუბრება:

**ფსიქოლოგიური შერჩევა მოიცავს რამდენიმე ეტაპს:**

1. ტესტირება - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის წარმომადგენლები ატარებენ ტესტირებას, რომელიც კანდიდატს აფასებს 6 კატეგორიის მიხედვით:

- მიღწევის მოტივაცია
- დისციპლინა
- პრემენტაბელურობა
- ფსიქოლოგიური სტაბილურობა
- ლიდერობა
- ინტელექტი

2. კლინიკური გასაუბრება - რა დროსაც ხდება კანდიდატის დიაგნოსტიკური ფსიქიკურ აშლილობებთან დაკავშირებით.

3. ფსიქოლოგიური გასაუბრება - რომელსაც ატარებს აკადემიის შერჩევის კომისიის ქვეკომისია. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, როგორცაა: ბაკალავრიატი და იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, ფსიქოლოგიური მომსახურების განყოფილება და ა.შ.

გასაუბრების კომისია თითოეულ კანდიდატზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეჯერებით.

## პროგრამის მიზანი

საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიზანია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ახლად ჩარიცხული საქართველოს მოქალაქის სამხედრო პიროვნებად გარდაქმნა, მისი ფიზიკური ამტანობის, სტრესულ სიტუაციაში ემოციური მდგრადობისა და ბაზისური სამხედრო უნარების განვითარება, მასში სამხედრო დისციპლინის ჩამოყალიბება და იმ გამოწვევებისთვის მომზადება, რომელიც იუნკერს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სწავლისას შეხვდება.

**საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის მსვლელობისას, იუნკერის მიღწევის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი კრიტერიუმებით:**

- ადაპტაცია;
- დისციპლინა;
- ლიდერობა;
- კეთილსინდისიერება;
- შემოქმედებითი უნარი;
- ლოგიკური აზროვნება;
- გადანაცვლებების მიღების უნარი;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ორგანიზატორული უნარი;
- ინიციატივა;
- გამბედაობა;
- გუნდურობა;
- ნებისყოფა;
- შრომისმოყვარეობა;
- სხვისი დახმარება;
- სხვისი გამხნევება;
- სწრაფად და სწორად რეაგირება ბრძანებაზე.



## ინსტრუქტორების ამოცანაა გამოავლინოს:

- შეესაბამება თუ არა იუნკერი ეთა-ს ქვედანაყოფს;
- იუნკერის ფსიქოლოგიური მდგრადობის შეფასება;
- იუნკერის ნებისყოფის სიმტკიცის შემოწმება;
- იუნკერის ჯგუფთან კომუნიკაბელურობა;
- იუნკერის ინდივიდუალურობა;
- იუნკერის ლიდერობა;
- რამდენად ზედმინწევნით ასრულებს დავალებებს იუნკერი.

## სწავლის შედეგები

### დამახსოვრება:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სამხედრო ფიცი;
- სამხედრო ნაწილის საბრძოლო დროშის არსი და მნიშვნელობა;
- საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი;
- სამხედრო წოდებები;
- ჯარისკაცის მოვალეობები;
- ასეულის მორიგის, ასეულის თანაშემწის მოვალეობები;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;
- ყარაულის პირადი შემადგენლობის მოვალეობები;
- ქვეითი ჯგუფის, ათეულის და ოცეულის სტრუქტურა და შეიარაღება;
- საშტატო იარაღის დანიშნულება, ტ.ტ.მ;
- ბალისტიკა გასროლა და მისი პერიოდები, ფრენისას ტყვიაზე მოქმედი ძალები;
- ტოპოგრაფიული რუკის წაკითხვა, კარტოგრაფიული პირობითი ნიშნები, რელიეფის ფორმები, წერტილის სიმაღლის განსაზღვრა;
- პირველი დახმარების განწევა სასუნთქი გზების დახშობის დროს და ჭრილობების კატეგორიების მიხედვით;
- ქართველი ერისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოშობა;
- საქართველოს მეფეები და ისტორიული ბრძოლები.
-

## გაგება:

პროგრამის გავლის შემდეგ იუნვერი ახსნი:

- ოცეულის და ათეულის სამწყობრო მომზადების ილეთების შესრულებას ადგილზე და გადაადგილების დროს;
- ოცეულის სამწყობრო დათვალიერებას და ოცეულის ყაზარმაში შემოწმების წესს;
- ტოპოგრაფიის საგანს და ამოცანებს;
- ორიენტირებას ადგილობრივი საგნებით;
- საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანებს;
- დაშავებულის შეფასებას, პირველადი დახმარების გაწევას;
- სხვადასხვა სახის სისხლდენისა და მაღალი ტემპერატურის შემოქმედების დროს შოკის ნიშნების განსაზღვრას.

## გამოყენება:

პროგრამის გავლის შემდეგ იუნვერი შეძლებს:

- სამწყობრო ილეთების შესრულებას გადაადგილებისას და ადგილზე;
- დაშავებულის გადაყვანის ხერხების გამოყენებას.





**დამახსოვრება:**

პროგრამის გავლის შემდეგ იუნკერს ეცოდინება:

- სამხედრო ფიცი;
- სამხედრო ნაწილის საბრძოლო დროშის არსი და მნიშვნელობა;
- საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი;
- სამხედრო წოდებები;
- ჯარისკაცის მოვალეობები;
- ასეულის მორიგის, ასეულის თანაშემწე მოვალეობები;
- დაშავებულის შეფასების წესი;
- სისხლდენის სახეები;
- მოტეხილობის სახეები;
- ჭრილობების სახეები;
- შოკის ნიშნები.

**გავება:**

პროგრამის გავლის შემდეგ იუნკერი ახსნის:

- ოცეულის სამწყობრო დათვალიერებას წესდებით და ოცეულის ყაზარმაში შემონმების წესს;
- დაშავებულის შეფასებას;
- პირველი დახმარების განვევის წესს სასუნთქი გზების დახშობის დროს;
- პირველი დახმარების განვევის წესს ჭრილობების კატეგორიების მიხედვით;
- პირველი დახმარების განვევის წესს სხვადასხვა სახის სისხლდენის დროს;
- პირველი დახმარების განვევის წესს მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების დროს;





იუნკერის შეფასება ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით 100-ქულიანი სისტემით.

იუნკერის ფიზიკური მომზადების დონის დასადგენად კურსის განმავლობაში ორჯერ უტარდება ფიზიკური მომზადების დიაგნოსტიკური ტესტი. ფიზიკური მომზადების დიაგნოსტიკური ტესტის შეფასება განხორციელდება თავდაცვის სისტემაში დადგენილი ფიზიკური მომზადების სტანდარტის შესაბამისად.

იუნკერის სანყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომლებსაც გააჩნიათ თავისი ქულობრივი ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია საერთო შეფასების 60 %-ით.

### შუალედური შეფასება:

ტარდება გარკვეული მოცულობის გავლის შემდეგ. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (მიმდინარე შეფასებები, შუალედური გამოცდა), რომლებსაც აქვთ თავისი ხვედრითი წილი ამ ელემენტის ფარგლებში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შუალედურ გამოცდაზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60 %-ით.

თუ იუნკერის შუალედური შეფასებებისას უკვე მიღებული შედეგით ჩანს, რომ იუნკერს შემდგომ შეფასებებში და დასკვნით გამოცდაზე მაქსიმალური ქულის მიღების შემთხვევაშიც კი ვერ უგროვდება მინიმალური დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა, მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

### დასკვნითი გამოცდა:

სავალდებულოა და მასზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60%-ით.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც უკვე მიღებული შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ჯამით უგროვდება მინიმალური დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა.

### **დამატებითი გამოცდა:**

შუალედურ შეფასებაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, იუნკერს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო შეფასების ჩატარებისა;

დასკვნით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, იუნკერს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო კომპონენტის პირველი შეფასებისა;

იუნკერი დამატებითი გამოცდისათვის მოსამზადებლად სარგებლობს პირადი ან თვითმომზადებისათვის განკუთვნილი დროის პერიოდით.

დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა ითვლება შეფასების საბოლოო ქულად და შესაბამისად აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში, მაგრამ არ გაითვალისწინება კურსზე სარეიტინგო ქულის გამოყვანისას და საბოლოო რეიტინგის გამოთვლისას გამოიყენება გამსვლელი ქულა.

დამატებით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

### **აღდგენითი გამოცდა:**

პროგრამის სასწავლო კურსის მოდულით გათვალისწინებული გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში იუნკერმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბაროს დაწესებულებასა და ერთეულებში მოცულობებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო კომპონენტის პირველ შეფასებამდე.

საპატიო მიზეზით დამატებითი გამოცდის გამოტოვების შემთხვევაში იუნკერს უფლება აქვს იგი მხოლოდ ერთხელ ჩააბაროს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1. A - ფრიადი - 92-100 ქულა;
2. B - ძალიან კარგი - 84-91 ქულა;
3. C - კარგი - 76-83 ქულა;
4. D - დამაკმაყოფილებელი - 68-75 ქულა;
5. E - საკმარისი - 60-67 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1. FX - ვერ ჩააბარა - 52-59 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა, დამოუკიდებელი მუშაობით, დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება.

2. F - ჩაიჭრა - 0-51 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და ის გაირიცხება პროგრამიდან.

შენიშვნა: ქულათა ინტერვალს/ბიჭს შორის დამრგვალება ხორციელდება არითმეტიკული დამრგვალების პრინციპით. მაგ: 60 ქულიანი ბარიერის შემთხვევაში  $59.5 = FX$ , ხოლო  $59.6 = E$ ;  $75.5 = D$ , ხოლო  $75.6 = C$ ;

## რეიტინგი:

საბოლოო შეფასების შედეგის შესაბამისად.

პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო თემატიკა:

- საერთო საჭარისო წესდებები/სამხედრო კანონები - Jus;
- სამწყობრო მომზადება - Dril;
- ტაქტიკური მომზადება - Tac;
- სახელმწიფოებრივი მომზადება - Com;
- საცეცხლე მომზადება - Fire;
- საინჟინრო მომზადება - Eng;
- სამხედრო ტოპოგრაფია - Nav;
- სამედიცინო მომზადება - Med;
- ჯავშირგაბმულობა - Sig;
- ლიდერობა - Lid.

## მობილობით ჩარიცხული იუნკერების შეფასების სისტემა

კურსის ბოლოს ტარდება გამოსაშვები გამოცდა. გამოსაშვები გამოცდა შერეული სახისაა და მოიცავს ტესტურ და წერით დავალებებს. გამოსაშვები გამოცდა სავალდებულოა და მასზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60 %-ით.

გამოსაშვებ გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, იუნკერს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 2 კალენდარული დღისა. იუნკერი დამატებითი გამოცდისათვის მოსამზადებლად სარგებლობს პირადი ან თვითმომზადებისათვის განკუთვნილი დროის პერიოდით. დამატებით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

## სწავლის გზამკვლევის შესაძლებლობა:

პროგრამის დასრულების შემდეგ იუნკერები სწავლას გააგრძელებენ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამებზე (მენეჯმენტი, ინფორმატიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება).

**1. მიზანი:** „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ მიზანია აკადემიაში სწავლის პერიოდში იუნკერებმა შეიძინონ თეორიული ცოდნა და გამოიმუშაონ მცირე ზომის ქვედანაყოფის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

**2. ძალისხმევის საზღბი:**

აკადემიაში ჩარიცხვა საწყისი საბრძოლო მომზადება  
-----▶  
სამოქალაქო პირის გარდაქმნა სამხედრო მოსამსახურედ

საწყისი საბრძოლო მომზადება I კურსი II კურსი  
-----▶  
იუნკერის ჩამოყალიბება რიგით სამხედრო მოსამსახურედ

II კურსი III კურსი  
-----▶  
იუნკერის ჩამოყალიბება ათეულის დონის ქვედანაყოფის მეთაურად

III კურსი IV კურსი სწავლის დასრულება  
-----▶  
იუნკერის ჩამოყალიბება ოცეულის დონის ქვედანაყოფის მეთაურად



### 3. „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ კომპონენტები:

- 1) იუნკერის ცხოვრების გზა;
- 2) სამხედრო ხემძღვანელობა;
- 3) სამხედრო ხელმძღვანელობის განმავითარებელი პროგრამები;
- 4) დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე იუნკერების შერჩევის, დანიშვნისა და შეფასების პროცედურები;
- 5) დროებით შტატზე დანიშნულ იუნკერთა ფუნქციონალური მოვალეობები;
- 6) მარშების განხორციელების პროგრამა;
- 7) იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამა;
- 8) იუნკერთა სამწყობრო მომზადების ჩატარების პროგრამა;
- 9) საჯარისო სამსახურის შესრულების პროგრამა;
- 10) იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის კონცეფცია.

### დილის გამამხნეველი ვარჯიში; შუადღის ფიზიკური მომზადება; სპორტული სექციები:

- ცურვა;
- ხელჩართული ბრძოლა;
- ძიუდო;
- მინი-ფეხბურთი;
- ვალატბურთი;
- ფრენბურთი;
- თავისუფალი ჭიდაობა;
- კრივი.





# კულტურული, სოციალური, საბანანათლებლო და სპორტული ღონისძიებები

**იუნკერები ჩართულები არიან, ესწრებიან და მონაწილეობას იღებენ ისეთ სახის ღონისძიებებსა და აქტივობებში, როგორიცაა:**

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის მუსიკალური ბენდი;
- ხატვის წრე;
- სტუდენტურ კვირეულებში საზღვარგარეთ სამხედრო სასწავლებლებში;
- სტუდენტური დღეები;
- უნივერსიადა;
- „განათლების გამოფენა“;
- სტუდენტური პროექტი „იდებატე!“;
- ინტელექტუალური თამაშები;
- სატელევიზიო გადაცემები;
- სამეცნიერო კონფერენციები;
- თავდაცვის ძალების ეგიდით ჩატარებული სპორტული შეჯიბრებები;
- აკადემიის საზაფხულო სკოლა;
- ოფიციალურ დღესასწაულებთან და ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებთან დაკავშირებული ცერემონიები;
- ოფიციალური მიღებები სამხედრო გემებზე;
- შეხვედრები თავდაცვის ძალების მაღალი რანგის პირებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, უცხოელ სტუმრებთან, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებთან;
- თეატრი და კინო;



# უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა



**სკოლის მეთაური  
ვიცე-პოლკოვნიკი  
ლაშა კლიმიაშვილი**



**სკოლის სერჟანი  
მასტერ სერჟანტი  
რაჟდენ ბასიშვილი**

## **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:**

უმცროს ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის საკარიერო  
სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამა

## **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

ლეიტენანტი

## **სწავლების ენა**

ქართული

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის საკანდიდატო კურსის კურსდამთავრებულს ენიჭება პირველადი სამხედრო წოდება „ლეიტენანტი“

მსმენელების შეფასება ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით 100-ქულიანი სისტემით.

მსმენელების ფიზიკური მომზადების შეფასება ხორციელდება თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის ბრძანება N 02-ის შესაბამისად მსმენელთა შეფასება მოიცავს სასწავლო კურსის/მოდულების შეფასებას და პროგრამის გამოსაშვებ გამოცდას.

მოდულების შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომლებსაც გააჩნიათ თავისი ქულობრივი ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. მოდულის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია მოდულის საერთო შეფასების 70 %-ით.

## საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კურსზე მიიღებიან - უმაღლესი განათლების მქონე: სამოქალაქო პირები და საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები - რიგითები, კაპრალები და სერჟანტები, რომლებიც გაივლიან შესარჩევ ტურს და სანციის საბრძოლო მომზადების კურსს. პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები და პირობები რეგულირდება თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

## საგანმანათლებლო პროგრამის შიდაკვალიფიკაციის მიზანი და აქტუალობა

თანამედროვე გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს თავდაცვის ძალები, დღის წესრიგში აყენებს ისეთი პროფესიონალების მომზადებას, რომელთაც ექნებათ ღრმა სისტემური ცოდნა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები თავდაცვის უმცროსი ოფიცრის სპეციალიზაციით, შეეძლებათ ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება და წარმოქნილი პრობლემების გადაწყვეტა.

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საქართველოს თავდაცვის ძალებს მოუმზადოს სამეთაურო უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრები (ლეიტენანტი), რომლებსაც ეცოდინებათ საერთო-საჯარისო მართვის საფუძვლები და შეძლებენ სწავლის გაგრძელებას ოფიცერთა სამხედრო განათლების შემდეგ საფეხურზე.



## დამახსოვრება:

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი:

- ჩამოთვლის ტაქტიკის საფუძვლებს (საველე წესდება ქვეითი ათეული, ოცეული);
- ჩამოაყალიბებს ქვეითი ჯგუფის, ათეულის მოქმედებებს ბრძოლის ველზე;
- ჩამოთვლის ოცეულის ცეცხლის დაგეგმვის და გამოყენების პრინციპებს;
- ჩამოთვლის საბრძოლო ფუნქციების ელემენტებს და განმარტავს მათ დანიშნულებას ოცეულის დონეზე;
- ჩამოაყალიბებს მართვას და კონტროლს, ჩამოთვლის ქვედანაყოფის მართვის პროცედურებს;
- ჩამოაყალიბებს თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების პრინციპებს და აღწერს მათ დაგეგმვას ოცეულის დონეზე;
- ჩამოთვლის პატრულირების ხერხებს და ფორმებს;
- განმარტავს ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულებას, ჩამოთვლის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებს;
- ჩამოთვლის სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნებს, მოყვება სავარჯიშოების შესრულებისა და უსაფრთხოების წესებს;
- მოყვება ტოპოგრაფიული რუკების და მათთან მუშაობის წესების შესახებ, ორიენტირებას რუკაზე და ადგილმდებარეობაზე, მარშრუტის განსაზღვრას და დაგეგმვას, კომპიუტერული ტოპოგრაფიული პროგრამების არსს და დანიშნულებას, პოზიციონირების გლობალური სისტემის (GPS) დანიშნულებას და მუშაობის პრინციპს.





- აღწერს საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანებს და საინჟინრო ქვედანაყოფებს, ფორტიფიკაციულ ნაგებობებს, ჩამოთვლის მათ დანიშნულებას და მოწყობის წესებს;
- ჩამოთვლის ლოგისტიკის ზოგად დებულებებს, ძირითად პრინციპებს და სფეროებს, უზრუნველყოფის და შევსების ოპერაციებს, \_ ლოგისტიკური ქონების კლასებსა და ნორმებს;
- არწერს საბრძოლო მომზადების სისტემას, პრინციპებს და მართვის ციკლს;
- ჩამოთვლის სამხედრო კავშირგაბმულობის სისტემებს;
- მოყვება არტილერიის ქვედანაყოფების სტრუქტურას, საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობებს, საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერის არსს და საფუძვლებს;
- ჩამოთვლის დაშავებულის ევაკუაციის წესებს, გადაყვანის მეთოდებს და ხერხებს;
- მოყვება წესდებების (შინაგანი სამსახურის, სადისციპლინო, საყარაულო, სამწყობრო) მოთხოვნებს;
- ჩამოთვლის საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word, PowerPoint, Microsoft Excel) ძირითად ფუნქციებს და შესაძლებლობებს;

შეძლებს ინგლისური ენის STANAG 0+ დონის შესაბამისი ლექსიკური მარაგის ათვისებას, გრამატიკული წესების მიხედვით მარტივი წინადადების შედგენას, ხოლო შემდგომ ამ წინადადებების დალაგებას მარტივი კომუნიკაციური დიალოგის შესადგენად. მსმენელი შეძლებს აღწეროს სახლი, საკუთარი სამუშაო ადგილი, ადამიანის გარეგნობა. შეეძლება მოყვეს საკუთარ თავის, ოჯახის, ჰობისა და ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.





## გაგება:

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი:

- ახსნის ტაქტიკის საფუძვლებს (საველე წესდება ქვეითი ათეული, ოცეული);
- განმარტავს საბრძოლო ფუნქციების ელემენტებს და ახსნის მათი დანიშნულებას ოცეულის დონეზე;
- განმარტავს მართვას და კონტროლს, ახსნის ქვედანაყოფის მართვის პროცედურებს;
- ახსნის თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების პრინციპებს, განიხილავს და გეგმავს ოცეულის დონეზე;
- განმარტავს პატრულირების ხერხებს და ფორმებს;
- განმარტავს ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულებას და ახსნის ტაქტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებს.;
- ახსნის სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნებს, სავარჯიშოების შესრულებისა და უსაფრთხოების წესებს;
- ახსნის ორიენტირებას რუკაზე და ადგილმდებარეობაზე, მარშრუტის განსაზღვრას და დაგეგმვას ასევე ტოპოგრაფიული რუკების და მათთან მუშაობის წესებს.

შეძლებს შესაბამისი დონის წერილობითი და აუდიო-ვიდეო მასალიდან განსაზღვროს მთავარი ამრი, დააკავშიროს თემატიკა შესაბამის ლექსიკურ ერთეულებთან. ასევე შეძლებს განავრცოს შესაბამის დონის ტექსტი და მოიყვანოს მსგავსი მაგალითი.



### გამოყენება:

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი:

- გამოიყენებს ტაქტიკის საფუძვლებს საველე პრაქტიკული სწავლებისას (საველე წესდება ქვეითი ათეული, ოცეული);
  - განახორციელებს ოცეულის სასროლი იარაღების ნორმალურ მოხვედრამდე მიყვანას, ტექნიკურ მომსახურებას, გაუმართაობის დადგენას, ხარვეზების თავიდან აცილებას და აღმოფხვრას, ასევე ოცეულის საბრძოლო სროლების მომზადებას.
  - მოახდენს რუკაზე და ადგილმდებარეობაზე გამოშვების ჩატარებას, რუკაზე და ადგილმდებარეობაზე ორიენტირების, კომპიუტერული ტოპოგრაფიული პროგრამის და პოზიციონირების გლობალური სისტემის (GPS) გამოყენებას.
  - განახორციელებს სამხედრო კავშირგაბმულობის სისტემების გამოყენებას ქვეითი ოცეულის დონის შესაბამისად.
  - გამოიყენებს სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადების და შეფასების პროგრამას (ARTEP) დავალების პრაქტიკულად შესრულების დროს.
- განახორციელებს პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, დაჭრილთა და დაღუპულთა ევაკუაციის ორგანიზებას.

### გაანალიზება:

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი:

- განასხვავებს ტაქტიკის საფუძვლებს ერთმანეთისგან, შეარჩევს შესაბამის გეგმას საველე პრაქტიკული სწავლებისას (საველე წესდება ქვეითი ათეული, ოცეული);
  - გაანალიზებს ტაქტიკური გადაადგილების ხერხებს და ფორმებს ოცეულის დონეზე, როგორც თავდასხმითი, თავდაცვითი ასევე საპატრულო ოპერაციების წარმოებისას;
  - გაანალიზებს ვითარებას პრაქტიკული დავალების (როგორც საველე დავალების შესრულებისას ასევე ზემდგომის ოპერატიული ბრძანების დამუშავებისას) განხორციელების ეტაპზე .
- მსმენელი შეძლებს შესწავლილ ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების კლასიფიკაციას, ინფორმაციული შევითხვების დასმას და მიღებული პასუხებისა და მოსალოდნელი პასუხების შედარებას, შესწავლილი მასალის გამოყენებით ინგლისურენოვან ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციაში შესაბამისი დონის წინადადებებით კონკრეტული გამოცდილების, მოსაზრებების გაანალიზებას.

### შეფასება:

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი:

- ტაქტიკის საფუძვლების, სავლელე პრაქტიკული სწავლების განხორციელების ბოლოს (სავლელე წესდება ქვეითი ათეული, ოცეული) ჯანსაღად გააკრიტიკებს დავალების შესრულების ხარისხს მისი შემდგომში გაუმჯობესების მიზნით;
  - დაასაბუთებს ტაქტიკური გადაადგილების ხერხებს და ფორმებს ოცეულის დონეზე, როგორც თავდასხმითი, თავდაცვითი ასევე საპატრულო ოპერაციების წარმოებისას;
- შეაფასებს ვითარებას პრაქტიკული დავალების (როგორც სავლელე დავალების შესრულებისას, ასევე შემდგომის ოპერატიული ბრძანების დამუშავებისას) განხორციელების ეტაპზე.

### შექმნა:

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი:

შემდგომი მეთაურის ოპერატიული ბრძანების მიხედვით შეადგენს ოცეულის ოპერატიულ ბრძანებას დაქვემდებარებულებზე გასაცემად.



მსმენელების შეფასება ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით 100-ქულიანი სისტემით.

მსმენელების ფიზიკური მომზადების შეფასება ხორციელდება თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის ბრძანება N 02-ის „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“-ის შესაბამისად. (ცვლილება - თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 14 აგვისტოს ბრძანება N 31).

მსმენელთა შეფასება მოიცავს სასწავლო კურსის/მოდულების შეფასებას და პროგრამის გამოსაშვებ გამოცდას.

მოდულების შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომლებსაც გააჩნიათ თავისი ქულობრივი ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. მოდულის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია მოდულის საერთო შეფასების 70 %-ით.

**შუალედური შეფასებები** ტარდება მოდულის გარკვეული მოცულობის გავლის შემდეგ. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (მიმდინარე შეფასებები, შუალედური გამოცდა), რომლებსაც აქვთ თავისი ხვედრითი წილი ამ ელემენტის ფარგლებში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შუალედურ გამოცდაზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასების 70 %-ით.

თუ მსმენელის შუალედური შეფასებებისას უკვე მიღებული შედეგით ჩანს, რომ მსმენელს შემდგომ შეფასებებში და დასკვნით გამოცდაზე მაქსიმალური ქულის მიღების შემთხვევაშიც კი ვერ უგროვდება მინიმალური დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა, მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

**სასწავლო კურსის/მოდულის დასკვნითი გამოცდა** სავალდებულოა და მასზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 70 %-ით.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც უკვე მიღებული შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ჯამით უგროვდება მინიმალური დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა.

**გამოსაშვები გამოცდა** წარმოადგენს პროგრამის შემაჯამებელ შეფასებას და ტარდება პროგრამის დასარულს. ის მოიცავს კომპლექსური გამოსაშვებ გამოცდასა და გამოსაშვებ გამოცდას ფიზიკურ მომზადებაში. (იხილეთ გამოსაშვები გამოცდის ინსტრუქცია). მასზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია მაქსიმალური შეფასების 70 %-ით.

**დამატებითი გამოცდა.** გამოცდებზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში მსმენელს მხოლოდ ერთხელ ეძლევა უფლება გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

შუალედურ შეფასებაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო შეფასების ჩატარებისა;

დასკვნით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო კომპონენტის პირველი შეფასებისა;

გამოსაშვებ გამოცდებზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოსაშვებ გამოცდაზე, რომელიც ტარდება საგამოცდო კომისიის გადანყვეტილებით არაუადრეს 10 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს შემდეგი კურსის გამოსაშვები გამოცდის პერიოდისა.

მსმენელი დამატებითი გამოცდისათვის მოსამზადებლად სარგებლობს პირადი ან თვითმომზადებისათვის განკუთვნილი დროის პერიოდით.

დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა ითვლება შეფასების საბოლოო ქულად და შესაბამისად აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში, მაგრამ არ გაითვალისწინება კურსზე სარეიტინგო ქულის გამოყვანისას და საბოლოო რეიტინგის გამოთვლისას გამოიყენება გამსვლელი ქულა.

დამატებით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.



**აღდგენითი გამოცდა.** მოდულით გათვალისწინებული გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, მსმენელმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბარონ დანესებულებასა და ერთეულებში გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო კომპონენტის პირველ შეფასებამდე.

საპატიო მიზეზით დამატებითი გამოცდის გამოტოვების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს იგი მხოლოდ ერთხელ ჩააბაროს.

პროგრამის გათვალისწინებული გამოსაშვები გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში მსმენელმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბაროს დანესებულებასა და ერთეულებში გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო პროგრამის დანყებამდე ან მომდევნო პროგრამის გამოსაშვებ გამოცდამდე.

### **მსმენელის შეფასება ფიზიკურ მომზადებაში:**

ფიზიკური მომზადების გამოცდაზე მსმენელების მიერ სავარჯიშოების შესრულების აღრიცხვას აწარმოებს საგამოცდო კომისია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1. A - ფრიადი - 94-100 ქულა;
2. B - ძალიან კარგი - 88-93 ქულა;
3. C - კარგი - 82-87 ქულა;
4. D - დამაკმაყოფილებელი - 76-81 ქულა;
5. E - საკმარისი - 70-75 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1. FX - ვერ ჩააბარა - 64-69 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა, დამოუკიდებელი მუშაობით, დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება.
2. F - ჩაიჭრა - 0-63 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და ის გაირიცხება პროგრამიდან.

შენიშვნა: ქულათა ინტერვალს/ბიჯს შორის დამრგვალება ხორციელდება არითმეტიკული დამრგვალების პრინციპით. მაგ: 70 ქულიანი ბარიერის შემთხვევაში 69.5 = FX, ხოლო 69.6 = E; 81.5 = D, ხოლო 81.6 = C;

რეიტინგი.

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამადამთავრებულთა რანჟირებისათვის გამოიყენება საბოლოო რეიტინგული ქულა, რომელიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად.

$$R = \frac{TAC \times T^{TAC I} + TAC \times T^{TAC II} + TOP \times T^{TOP} + FIR \times T^{FIR} + LID \times T^{LID} + F \times T^F + E \times T^E + ENG \times T^{ENG} + K \times T^K}{T^{TAC} + T^{TOP} + T^{FIR} + T^{LID} + T^F + T^E + T^{ENG} + T^K}$$

სადაც:

R - საბოლოო რეიტინგული ქულა.

TAC, TOP, FIR, LID, F, E, ENG - სასწავლო კურსის (საგნის)/მოდულის სილაბუსის შეფასების ქულა.

$T^{TAC}$ ,  $T^{TOP}$ ,  $T^{FIR}$ ,  $T^{LID}$ ,  $T^F$ ,  $T^E$ ,  $T^{ENG}$  - შესაბამისი სასწავლო კურსის (საგნის)/მოდულის სილაბუსის საკონტაქტო საათების რაოდენობა.

K - გამოსაშვები გამოცდის შეფასების ქულა.

სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებული კურსდამთავრებულის დიპლომი გაცემა იმ მსმენელზე, რომლის საბოლოო რეიტინგული ქულა შეესაბამება შეფასებას „ფრიადი“ (A), - ხოლო თითოეულ სახეობაში ფიზიკური მომზადების ქულაა 90 და მეტი.

### შენიშვნა: (თემატიკა)

ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორია - EHIST;

ფსიქოლოგია - EPSY;

შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი - ELAC;

პერსონალის მართვა - EPM;

სამხედრო სამართალი - EML;

გენდერი - EGEN;

გამოცდილების გაზიარება თ.ძ-ში - ELL;

კეთილსინდისიერება თ.ძ-ში - ECON;

სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობები - ECIMIC;

საინჟინრო მომზადება - FENG;

კავშირგაბმულობა - 8 სთ - FCOM;

საერთო საჭარისო წესდებები - FCMR;

საარტილერიო მომზადება - FART;

საბრძოლო მანქანები - 8 სთ - FCV;

ლოგისტიკური უზრუნველყოფა - FLOG;

საბრძოლო მომზადების ორგანიზება - FOCT;

საერთო-საჭარისო დაზვერვა - FINT;

საავიაციო მომზადება - 3 სთ - FAVI;

საჰაერო თავდაცვა - FAIRD;

რადიოელექტრონული ბრძოლა - FREB.



## დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები სპეციალიზაციის კურსის გავლის შემდგომ დასაქმდებიან თავდაცვის ძალებში.

## სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია სამხედრო განათლების მეორე საფეხურზე - (კაპიტნის საკარიერო კურსი), როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.



# სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი



ცენტრის უფროსი  
ზინგი-პოლკოვნიკი  
ბორა ქობიანი

## ამოცანა

სწავლებლების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის ამოცანაა, იუნკერთა/მსმენელთა მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, არსებული სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება, მენეჯერობების ჩატარება და მონიტორინგი.

## სასწავლო კლასების გამოყენებით იუნკერები და მსმენელები გაეცნობიან და შეისწავლიან

1. ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულებას და ტექტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებს, სავარჯიშოების შესრულებისა და უსაფრთხოების წესებს;
2. ტოპოგრაფიული რუკების და მათთან მუშაობის წესების შესახებ, ორიენტირებას რუკაზე და ადგილმდებარეობაზე, მარშრუტის განსაზღვრას და დაგეგმვას;
3. ფორტიფიკაციულ ნაგებობებს და დანიშნულებას, ასევე ქვეით საწინააღმდეგო ნაღმების ტექტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებს;
4. საქართველოს კონსტიტუციის მიმოხილვას და თავდაცვის ძალების წესდებებს;
5. ოცეულის საბრძოლო მომზადების ორგანიზებას;
6. მასობრივი დაზიანების იარაღს.

## სიმულაციური სენდრის დახმარებით გაეცნობიან და შეისწავლიან

1. ოცეულის სასროლი იარაღების ნორმალურ მოხვედრამდე მიყვანას, ტექნიკურ მომსახურებას, გაუმართაობის დადგენას, ხარვეზების თავიდან აცილებას და აღმოფხვრას, ასევე ოცეულის საბრძოლო სროლების მომზადებას.
2. სხვადასხვა შეიარაღებას, ვიზუალურად, მის ტაქტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებს.
3. ათეულის შეიარაღების გამოყენებით სიმულაციური სროლების ჩატარებას.
4. პრაქტიკული მცადინეობას სიმულაციის შენობაში ათეულის დონეზე ALFONSO 2M-ის და პეინტბოლის დახმარებით.
5. მკვეტის მომზადებას თეორიულად და პრაქტიკულად.
6. მკვეტის გამოყენების დახმარებით ათეულის და ოცეულის ბრძანების გაცემას.
7. ათეულის დონეზე ღია და დახურული სავარჯიშო არეალის გამოყენებით რეალობასთან მიახლოებული სხვადასხვა საბრძოლო ვარჯიშების ჩატარება.
8. არტილერიის ცეცხლის გამოძახება სხვადასხვა ნაღმტყორცნების მეშვეობით.





**იუნკერების/მსმენელების თეორიული შეფასება ხდება** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით 100-ქულიანი სისტემით.

იუნკერების / მსმენელების შეფასება მოიცავს სასწავლო კურსის/მოდულების შეფასებას და პროგრამის გამოსაშვებ გამოცდას.

მოდულების შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომლებსაც გააჩნიათ თავისი ქულობრივი ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. მოდულის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია მოდულის საერთო შეფასების 70 %-ით.

შუალედური შეფასებები ტარდება მოდულის გარკვეული მოცულობის გავლის შემდეგ. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (მიმდინარე შეფასებები, შუალედური გამოცდა), რომლებსაც აქვთ თავისი ხვედრითი წილი ამ ელემენტის ფარგლებში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შუალედურ გამოცდაზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასების 70 %-ით.

თუ იუნკერების/მსმენელების შუალედური შეფასებებისას უკვე მიღებული შედეგით ჩანს, რომ იუნკერების/მსმენელების შემდგომ შეფასებებში და დასკვნით გამოცდაზე მაქსიმალური ქულის მიღების შემთხვევაშიც კი ვერ უგროვდება მინიმალური დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა, მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

სასწავლო კურსის / მოდულის დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 70 %-ით.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც უკვე მიღებული შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ჯამით უგროვდება მინიმალური დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა.

გამოსაშვები გამოცდა წარმოადგენს პროგრამის შემაჯამებელ შეფასებას და ტარდება პროგრამის დასასრულს. ის მოიცავს კომპლექსური გამოსაშვებ გამოცდას (იხილეთ გამოსაშვები გამოცდის ინსტრუქცია). მასზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ბარიერი) განსაზღვრულია მაქსიმალური შეფასების 70 %-ით.

## **დამატებითი გამოცდა**

გამოცდებზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, იუნკერებს / მსმენელებს მხოლოდ ერთხელ ეძლევა უფლება გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

შუალედურ შეფასებაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, იუნკერს / მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო შეფასების ჩატარებისა; დასკვნით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, იუნკერს / მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არაუადრეს 3 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს მომდევნო კომპონენტის პირველი შეფასებისა;

გამოსაშვებ გამოცდებზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში იუნკერს/მსმენელს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოსაშვებ გამოცდაზე, რომელიც ტარდება საგამოცდო კომისიის გადანყვეტილებით არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა და არაუგვიანეს შემდეგი კურსის გამოსაშვები გამოცდის პერიოდისა.

იუნკერი / მსმენელი დამატებითი გამოცდისათვის მოსამზადებლად სარგებლობს პირადი ან თვითმომზადებისათვის განკუთვნილი დროის პერიოდით.

დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა ითვლება შეფასების საბოლოო ქულად და შესაბამისად აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში, მაგრამ არ გაითვალისწინება კურსზე სარეიტინგო ქულის გამოყვანისას და საბოლოო რეიტინგის გამოთვლისას გამოიყენება გამსვლელი ქულა.

დამატებით გამოცდაზე დაწესებული ბარიერის ვერგადალახვის შემთხვევაში, მისი პროგრამიდან ამორიცხვის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

## **აღდგენითი გამოცდა**

მოდულით გათვალისწინებული გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში იუნკერმა / მსმენელმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბარონ დაწესებულებასა და ერთეულებში გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო კომპონენტის პირველ შეფასებამდე.

საპატიო მიზეზით დამატებითი გამოცდის გამოტოვების შემთხვევაში იუნკერს/მსმენელს უფლება აქვს იგი მხოლოდ ერთხელ ჩააბაროს.

პროგრამის გათვალისწინებული გამოსაშვები გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში იუნკერმა / მსმენელმა აღდგენითი გამოცდა უნდა ჩააბაროს დაწესებულებასა და ერთეულებში გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. აღდგენითი გამოცდა უნდა ჩატარდეს მომდევნო პროგრამის დაწყებამდე ან მომდევნო პროგრამის გამოსაშვებ გამოცდამდე.

### შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1. A - ფრიადი - 94-100 ქულა;
2. B - ძალიან კარგი - 88-93 ქულა;
3. C - კარგი - 82-87 ქულა;
4. D - დამაკმაყოფილებელი - 76-81 ქულა;
5. E - საკმარისი - 70-75 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1. FX - ვერ ჩააბარა - 64-69 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს/მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა, დამოუკიდებელი მუშაობით, დამატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება.

2. F - ჩაიჭრა - 0-63 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერის/მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და ის გაირიცხება პროგრამიდან.

შენიშვნა: ქულათა ინტერვალს/ბიჯს შორის დამრგვალება ხორციელდება არითმეტიკული დამრგვალების პრინციპით. მაგ: 70 ქულიანი ბარიერის შემთხვევაში  $69.5 = FX$ , ხოლო  $69.6 = E$ ;  $81.5 = D$ , ხოლო  $81.6 = C$ ;



**იუნკერების/მსმენელების პრაქტიკული შეფასება მაგალითის სახით:**

იუნკერების/მსმენელების პრაქტიკული შეფასება ხდება აკადემიის საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების ფურცლის მეშვეობით თითოეულ დისციპლინაში.

იუნკერი:

შემფასებელი :

საველე გასვლა					
პრაქტიკული შესრულების შეფასების ფურცელი					
№	საერთო - საჯარისო ტაქტიკა	შეფასება			
		100 %	75 %	50 %	0
<b>შენობაში შესვლა და ოთახის განმენდა</b>					
1.	შენობაში გადაადგილება და ოთახების განმენდა მაკუბეჩე ჩვენებით.	2.0	1.5	1.0	0
2.	ბრძოლის წინა შემოწმება.	2.0	1.5	1.0	0
3.	გადაადგილება შენობაში (დისტანციის და სექტორის კონტროლი, სიჩუმის დისციპლინა, ხელის ნიშნების გამოყენება).	2.0	1.5	1.0	0
4.	ათეულის მეთაური შენობაში გადაადგილების დროს ირჩევს/იცვლის ადგილს ათეულის სამართავად.	3.0	2.25	1.5	0
5.	ათეულის მეთაური ახდენს განმენდილი ოთახების/შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას (კონსოლიდაცია-რეორგანიზაცია) და მემდგომთან მოხსენება.	3.0	2.25	1.5	0
<b>სულ</b>					
<b>იუნკერის მიღებული ქულა</b>					
<b>ინსტრუქტორის კომენტარი</b>					

შენიშვნა: ოპერაციის მსვლელობის დროს ათეული მოქმედებს როგორც ოცეულის შემადგენელი ნაწილი.

მოსხენებები მემდგომთან ვეთდება ს.ს.3 თანახმად.

#		2.0 ქულა	3.0 ქულა
1	100%	2.0	3.0
2	75%	1.5	2.25
3	50%	1.0	1.5
4	0	0	0

მაქსიმალური ქულა – 12 = 100%

გამსვლელი ქულა – 6 = 50%

შეფასების კრიტერიუმები	
დავალება სწორად არის შესრულებული, დავალების შესრულებისას გამოავლინა მიღებული ცოდნის გამოყენების უნარი. დავალების სტანდარტები სრულად არის დაცული;	მისაღები ქულის 100 %
დავალება შესრულა, მაგრამ გარკვეული არაარსებითი ხასიათის ხარვეზებით. დავალების სტანდარტები სრულად არ არის დაცული;	მისაღები ქულის 75 %
დავალება შესრულა ნაწილობრივ, მაგრამ ესაჭიროება დავალებისათვის სწორი გზის განსაზღვრა. გარკვეული არაარსებითი ხასიათის ხარვეზებით. დავალების სტანდარტები ნაწილობრივად არ არის დაცული;	მისაღები ქულის 50 %
დავალება არ შესრულა ან შესრულდა დიდი ხარვეზებით. დავალების სტანდარტების არსებითი ნაწილი არ არის დაცული.	0

საბოლოო ქულა .....

იუნკერის ხელმოწერა .....

შემფასებლის ხელმოწერა .....



## სამოლოო შედეგი

თეორიული და პრაქტიკული მცადინეობების, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი სავლელ და საკლასო მცადინეობებზე, მონიტორინგის შედეგების დამუშავება და წარდგენა ხელმძღვანელობასთან.





# ფიზიკური მომზადების სამსახური

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- მომზადდეს ოფიცერი, რომელსაც ექნება უნარი უზრუნველყოს ხელქვეითთა ფიზიკური მზადყოფნა საბრძოლო მოქმედებებისთვის;
- ხელი შეუწყოს იუნკერის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას;

## სწავლის შედეგები:

სამხედრო მოსამსახურეებმა დააკმაყოფილონ მათ მიერ დასახული სამომავლო ამოცანების შესასრულებლად საჭირო ფიზიკური მოთხოვნები.





# ხელჩართული ბრძოლის პროგრამა

1) უსაფრთხოების წესები (წიგნი „ქვედანაყოფის საწვრთნელი ვარჯიშები ხელჩართულ ბრძოლაში“).

2) მოთელვითი და განელვითი ვარჯიშები.

3) სპეციალური ფიზიკური მომზადება :

1. წინ კოტრიალი
2. უკან კოტრიალი
3. დაზღვევით კოტრიალი
4. გრძელი კოტრიალი დაზღვევით
5. წინ, უკან და გვერდზე ვარდნები დაზღვევით

4) ხელით დარტყმები:

1. სწორხაზოვანი პირდაპირი დარტყმები
2. გვერდითი დარტყმა წრიულად
3. ქვემოდან დარტყმა (აპერკოტი)
4. იდაყვით დარტყმა

5) ფეხით დარტყმები:

1. პირდაპირი დარტყმა
2. ფეხის ტერფის ზურგით გვერდით დარტყმა
3. ფეხის ტერფის გარეთა მხრის გვერდითი დარტყმა
4. ფეხის უკან დარტყმა ქუსლით
5. მუხლით დარტყმა

6) დარტყმებისგან დაცვა (ბლოკი)

1. გარეთა ბლოკირება
2. ქვედა ბლოკირება
3. ზედა ბლოკირება
4. ორმაგი ბლოკირება
5. ხელებით ჩაჭიდებისგან თავდაცვა

7) ჭიდაობის ილეთები დგომში:

1. მოგვერდი
2. კისრული
3. გადავლებული



- 8) ჭიდაობის ილეთები ჩოქბენში:
  1. ხელის მტკივნეული
  2. მახრჩობელა
  3. ფეხზე მტკივნეული
- 9) სავარჯიშო ბალიშები და სხვა უსაფრთხო აღჭურვილობა:
  1. კრივის თათებზე მუშაობა ხელით და ფეხით
  2. კრივის მსხალზე მუშაობა ხელით და ფეხით
- 10) ჩოქბენში ჭიდაობა;
- 11) დგომში ჭიდაობა;
- 12) დანით შეიარაღებული თავდამსხმელისაგან თავდაცვა;
- 13) პისტოლეთიანი თავდამსხმელისაგან თავდაცვა;
- 14) ჯოხით დარტყმისაგან თავდაცვა;
- 15) მძიმე საგნით თავდამსხმელისაგან თავდაცვა;
- 16) ავტომატიანი თავდამსხმელისაგან თავდაცვა;
- 17) ხელჩართული ბრძოლები (სპარინგები).

**შენიშვნა:** მსმენელმა / იუნკერმა უნდა შეძლოს მეცადინეობის ჩატარება დამოუკიდებლად. იგი სათანადო დონეზე უნდა იყოს მომზადებული ფიზიკურად და ფლობდეს შესაბამის უნარ-ჩვევებს.



# ცურვის პროგრამა

## I ეტაპი

მეცადინეობის რაოდენობა	მეცადინეობის გეგმა
1,2,3	ფეხების მოძრაობათა შესწავლა (კროლით, მკერდზე, ზურგზე და ბრასით). კოორდინაციული შესაძლებლობების სრულყოფა წყალში. ფეხების მოძრაობის ინტენსიურობა 1-2 წთ. შესვენება 1 წთ. შესვენების დროს ჰაერის ხანგრძლივი ამოსუნთქვის შესრულება წყალში.
4,5	გავლილი მასალის გამეორება (1 მეც.); „სტატისტიკური ცურვა“- იგივე რაც „ტივტივა“. ღრმა შესუნ-თქვა, წყალზე დაწოლა, ფეხები შეერთებული და გამართუ-ლი. ხელები ზემკლავში. ამ მდგომარეობაში ვწევართ წყალზე 10-15 წმ. ვარჯიშის შუალედებში ამოსუნთქვები წყალში 20-30 ჯერ.
6,7,8	გავლილი მასალის გამეორება (1-3, 4, 5) სრიალის შესწავლა. აუზის კედელთან ახლოს ზურგით დგომიდან სრულდება „ტივტივა“ , ხელების გამართვა წინ, ტერფებით ვანვებით აუზის კედელს და ვასრულებთ ძლიერ კვრას. მიღებულ ჰორიზონტალურ მდგომარეობას ვინარ-ჩუნებთ სრიალის ბოლომდე (სანამ საგრძნობლად არ შენე-ლდება წინ სვლით მოძრაობა)
9,10,11	გავლილი მასალის გამეორება. ვარჯიშები სრიალზე (16 მეცადინეობა). ხელების მოძრაობათა შესწავლა კროლით მკერდზე. მარჯვენა-ნა ხელი, მარცხენა ხელი. ფეხების მოძრაობის სრულყოფა მარჯვენა მარჯვენა ხელთან, მარცხენა ხელთან. ვარჯიში კროლის ფეხების წყლის დაფით 6×10 მ. მონაკვეთი. შესვენების დროს შუალედში ჰაერის გამოშვება წყალში 20-25 ჯერ.
12,13,14	გავლილი მასალის გამეორება (9 მეც) ხელების მოსმითი მოძრაობის შეთანხმება კროლის ცურვის დროს. ფეხების მოძრაობის სრულყოფა.
15,16	გავლილი მასალი გამეორება (14, 19 მეცადინეობა)ხელების მოსმითი მოძრაობის შეთანხმება სუნთქვასთან. მკერდზე სრიალში ხელის( მარჯვენა ცალკე, მარცხენა ცალკე) მოძრაობის და სუნთქვის შეთანხმება. წყლის დაფით ვარ-ჯიში. კროლი, ბრასი 8×15 მ. ამოსუნთქვები წყალში.



# ცურვის პროგრამა

## II ეტაპი

მეცადინეობის რაოდენობა	მეცადინეობის გეგმა
1,2,3,4	<p>მოთელვა 2×50 მ. თ/ყ.                  2×50 მ. ტექნიკის გაუმჯობესება.                  ვარჯიშები სუნთქვის შეკავებაზე ჩაყვინთული. 4-6 ჯერ.                  შუალედში 4×25 ცურვა ზურგზე.                  მოსმა ორივე ხელით ერთდროულად, ბრასის ფეხებით დარტყმა.                  4×25 ცურვა გვერდულად.                  თავი მუდმივად წყლის ზედაპირზე.                  ცურვა მართო ფეხების მოძრაობით.                  4×25 კროლი                  4×25 ბრასი                  4×50მ. კრ+ბრასი                  2×50მ ფეხები კროლი+ბრასი.                  100 მ თავისუფალი ცურვა ტექნიკის გაუმჯობესებით.</p>
5,6,7,8	<p>მოთელვა 2×50 მ. თ/ყ.                  2×25მ. ფეხები. წყლის დაფით.                  2×50მ. ცურვა ტექნიკის სრულყოფაზე.                  2×25მ. ცურვა დაფით ბრასი.                  6×15მ ვარჯიშები გაყვინთვაზე.                  გაყვინთვებს შორის ცურვა 6×25მ.                  ცურვა სხვადასხვა სტილების სრულყოფაზე.                  7და 8 მეცადინეობაზე გაკვეთილის ბოლოს გაყვინთვა max.</p>
9	<p>შუალედური ტესტი. გაყვინთვა 15 მ.</p>
10,11,12,13.	<p>მოთელვა 100მ.                  ცურვა ტექნიკის სრულყოფაზე 4×50მ                  4×25მ. ცურვა სიშიძით .                  შუალედში ცურვა 8×25მ. ტექნიკა                  4×25მ. დაფით ბრასი+კროლი.                  100 მ. თავისუფალი ცურვა ტექნიკისა და სუნთქვის სრულყოფაზე.</p>
14	<p>შუალედური ტესტი 100 მ. თ/ყ 3წთ.</p>
15,16,17,18.	<p>მოთელვა 400 მ.                  ცურვა ტანსაცმლით 4×15მ.                  შუალედში 4×25მ. ცურვა ბრასი და კროლი                  მოძრაობის საერთო კოორდინაციით.                  100მ. თავისუფალი ცურვა.</p>

19	შუალედური ტესტი 25მ ტანსაცმლით ცურვა.
20,21,22,23.	მოთელვა 400 მ. 4×15მ.ცურვა ტანსაცმელში იარაღით. იარაღი ზურგზე. შუალედში ცურვა ზურგზე. 4×15მ. ფორმით, იარაღით. შუალედში 4×25მ. გვერდზე. 100მ. თ/ყ საშუალო ტემპით. ხელების მოძრაობის სრულყოფა სუნთქვასთან შეთანხმებით.
24	ტესტი ფორმაში იარაღით.სტარტიდან 25 მ.
25,26.	მოთელვა 500მ.
1,5,10,15,20	ვარჯიშების გამეორება და სრულყოფა. შემაჯამებელი ვარჯიშები ტექნიკაზე.
28,29,30	ჩათვლა 100მ. თ/ყ - 3 წთ. ჩათვლა 15მ. გაყვინთვა. ჩათვლა 25მ. ცურვა ფორმით, იარაღით.



## შეფასების სიძეა

მსმენელების/იუნკერების შეფასება ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამხედრო საგანმანათლებლო ერთეულებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის მიხედვით 100-ქულიანი სისტემით.

მსმენელების/იუნკერების ფიზიკური მომზადების შეფასება ხორციელდება თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის ბრძანება N 02-ის „**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ**“-ის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება 54 2020 წლის 1 ივლისის ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. (მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის: ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გ) სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი/მსმენელი თითოეულ ნორმატივში მიიღებს – არანაკლებ 60 ქულას და სამივე ნორმატივში ჯამურად - არანაკლებ 180 ქულას;“);

ფიზიკური მომზადების შეფასებისას, სამხედრო მოსამსახურეთა მთელი პირადი შემადგენლობა, სასწავლო ბატალიონის იუნკერები და მსმენელები შემოწმებას გადიან წელიწადში ორჯერ (ოქტომბერი-ნოემბერი და აპრილი-მაისი).

ტესტირება იწყება წოლბუჯნიდან აზიდვით, მუცლის პრესით და სრულდება 3200 მეტრის გარბენისას ფინიშის ხაზის გადაკვეთით. შესასრულებელ სახეობებს შორის შესვენება 10-15 წთ.

ვარჯიშით - „**იატაკიდან აზიდვა**“- მონმდება გულ-მკერდის, მხრებისა და ტრიცეფსის კუნთების გამძლეობა.



ვარჯიშით - „**მუცლის პრესი**“- მონმდება მუცლის და ბარძაყის კუნთების გამძლეობა.



ტესტით, რომელიც მოიცავს ალტერნატიულ ვარჯიშებს, ფასდება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი (სამ თვეზე მეტი) სამედიცინო პრობლემების მქონე სამხედრო მოსამსახურეები.

ტესტით გათვალისწინებული ალტერნატიული ვარჯიშები (4 000 მ. თავისუფალი სიარულით, 700 მეტრზე ცურვა და ველოერგომეტრით მოძრაობა 10 კილომეტრზე.

სამხედრო მოსამსახურეთა ინდივიდუალური ფიზიკური მომზადების შეფასება ხორციელდება მიღებული ქულების შესაბამისად. თუ სამხედრო მოსამსახურემ, რომელიმე სახეობის შესრულებისას ვერ მიიღო განსაზღვრული მინიმალური ქულა იგი ფასდება უარყოფითად.

დადებით შეფასებად ითვლება თუ სამხედრო მოსამსახურე თითოეულ ნორმატივში მიიღებს არანაკლებ 60 ქულას, ხოლო სამივე ნორმატივში არანაკლებ 180 ქულას.

უარყოფითი შეფასების მქონე სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია ნორმატივების გადაბარება არაუმეტეს ორჯერ.



# ენობრივი მომზადების სკოლა



**ინგლისური ენის  
პროგრამის ხელმძღვანელი  
მარინა პაიჭაძე**



**სკოლის უფროსი  
ვიცი კულაშვილი  
ბიორბი ვანიშვილი**



**ინგლისური ენის  
პროგრამის ხელმძღვანელი  
თეა მიქაძე**



**გერმანული ენის  
პროგრამის ხელმძღვანელი  
კახა ბახალია**



**ფრანგული ენის  
პროგრამის ხელმძღვანელი  
მანანა ჯოჯუა**



**რუსული ენის  
პროგრამის ხელმძღვანელი  
დალი ვაშაქიძე**



**თურქული ენის  
პროგრამის ხელმძღვანელი  
ნინო ღაღვიშვილი**

## საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

1. ინგლისურ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (I დონე - 26 სასწავლო კვირა);
2. ინგლისურ ენაში ნახევრადინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (I დონე);
3. ინგლისურ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (II დონე - 26 სასწავლო კვირა);
4. ინგლისურ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამა / IMET - 16 სასწავლო კვირა);
5. ინგლისურ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო მისია / RSM - 16 სასწავლო კვირა);
6. ინგლისურ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის პროგრამა).



# ინგლისური ენის საგანმანათლებლო პროგრამა

## საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხებიან ის მოსამსახურეები:

- რომლებიც გათვალისწინებული არიან საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP).
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლება/შესწავლა.
- რომლებიც შემდგომში წარდგენილი არიან საზღვარგარეთ სასწავლო კურსებზე ან/და საერთაშორისო მისიაში, ასევე თანამდებობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე.

## საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს ინგლისური ენის მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების მომზადებას, რათა კურსდამთავრებულმა იმოქმედოს მასზე დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში.

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროგრამებზე მოვლინებული/ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურე/სამოქალაქო პირი აღჭურვოს ინგლისური ენის ცოდნით, რომელიც დააკმაყოფილებს NATO STANAG 6001 და ALCPT ტესტირების მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც მსმენელი შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში იმპროვიზებულად გამოყენებას საჭიროებისამებრ.

## შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა რეგულირდება ენობრივი მომზადების სკოლაში სასწავლო პროცესის და საგამოცდო დისციპლინის რეგულირების წესის შესაბამისად. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო მასალად იყენებს გამომცემლობა MACMILLAN -ის მიერ შექმნილ სახელმძღვანელო Skillful და ამერიკული ენის კურსის სახელმძღვანელოს (ALC), შესაბამისად შეფასების მიზნითაც გამოყენებულია ზემოთ ხსენებული გამომცემლობის მიერ შექმნილი შეფასების სისტემა.

## სწავლის გარემოს ხარისხი, კვალიფიკაციის აქტუალობა

მიღებული ცოდნის საფუძველზე და სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებისა და შესაბამისი ცოდნის დონის დასადგენი გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს აშშ-სა და ევროპული ქვეყნების სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლებში.

# გერმანული ენის საგანმანათლებლო პროგრამა

გერმანულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (36 კვირა)

## საგანმანათლებლო პროგრამებიზე ჩარიცხვის წინაპირობა

გერმანული ენის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვებიან ის მოსამსახურეები, რომლებიც წარდგენილები არიან საზღვარგარეთ სასწავლო კურსებზე ან/და საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად, დანიშნულები ან გათვალისწინებული არიან დასანიშნად წამყვან თანამდებობებზე და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ გერმანული ენის ცოდნის დონის ამაღლება/შესწავლა.

## საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს ქართველი სამხედრო მოსამსახურეების სწავლებასა და პროფესიულ გადამზადებას ნატოს სხვადასხვა სასწავლებლებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესვერის სასწავლებლებში კვალიფიკაციის ამაღლების და სწავლების წინაპირობა გერმანული ენის ცოდნაა.

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

გერმანული ენის ინტენსიური (36 კვირიანი) მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეების და სამოქალაქო პირების მომზადება გერმანული ენის საწყისი დონიდან STANAG 6001-ის SLP 1+1+1+1 დონეზე. კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ფონეტიკური, ლექსიკური და გრამატიკული ცოდნა, რომლის საფუძველზე შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში იმპროვიზებულად გამოყენებას საჭიროებისამებრ.

## შეფასების სისტემა

გერმანული ენის 36-კვირიანი ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმავლობაში მოვლინებული სამხედრო მოსამსახურეები/ სამოქალაქო პირები გადიან 3 სახელმძღვანელოს: „Menschen A1-A2“, „Begegnungen A1- A2“, „Zehn Schritte zur Bw“ და მათ ყოველი თემის დასრულების შემდეგ უტარდებათ პროგრესის შესამოწმებელი ტესტირება. კურსის განმავლობაში ნებისმიერ 2 ტესტში არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში (60%-ზე ნაკლები 100%-დან) მოვლინებულ სამხედრო მოსამსახურეს/ სამოქალაქო პირს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, ხოლო მესამე ტესტის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, ხდება მისი წარდგენა კურსიდან ამოსარიცხად.

დასკვნითი გამოცდა: გამოცდა შედგება 4 ნაწილისგან: კითხვა, მოსმენა, წერა და გასაუბრება. თუ მოვლინებულმა სამხედრო მოსამსახურემ/ სამოქალაქო პირმა სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ ჩატარებულ დასკვნით გამოცდაზე რომელიმე ერთ ნაწილში ვერ მიიღო STANAG 6001 SLP 1+,1+,1+,1 მოთხოვნით გათვალისწინებული ქულა, მას არ გადაეცემა STANAG 1+ ის ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი STANAG 6001 SLP 1+,1+,1+,1

- 1. კითხვა: 90% - 100% (L 1+);
- 2. მოსმენა : 90% - 100%(H 1+);
- 3. გასაუბრება : (M 1+);
- 4. წერა - მინიმუმ 60 ქულა 100-დან (S 1).

## სწავლის გარემოების საშუალება, კვალიფიკაციის ახალღება

კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლების წარმატებით დასრულების და შესაბამისი ცოდნის სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესვერის სხვადასხვა სასწავლებელში.

# ფრანგული ენის საგანმანათლებლო პროგრამა

ფრანგულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## საგანმანათლებლო პროგრამებიზე ჩარიცხვის წინაპირობა

ფრანგული ენის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხებიან ის მოსამსახურეები, რომლებიც წარდგენილები არიან საზღვარგარეთ სასწავლო კურსებზე ან/და საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად, დანიშნულები ან გათვალისწინებული არიან დასანიშნად წამყვან თანამდებობზე და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ ფრანგული ენის ცოდნის დონის ამაღლება/შესწავლა.

## საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს ფრანგული ენის მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სამხედრო მოსამსახურეების მომზადებას, რათა კურსდამთავრებულმა იფუნქციონიროს -იმუქმდოს მასზე დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში.

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ფრანგული ენის ინტენსიური სასწავლო კურსის მიზანია აღჭურვოს მოვლინებული/ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურე/სამოქალაქო პირი სამხედრო STANAG 6001-1+ დონეზე, რომლის საფუძველზეც მოვლინებული/ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურე/სამოქალაქო პირი შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას სპეციფიკური მიზნებისთვის (უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა).

## შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა რეგულირდება ენობრივი მომზადების სკოლაში სასწავლო პროცესის და საგამოცდო დისციპლინის რეგულირების წესის შესაბამისად.

პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება ფრანგული ენის სახელმძღვანელო "Festival"-ის 1-ლი და მე-2 ნაწილი და დამატებითი მასალები, რომლებიც შედგენილია აქტუალური თემებიდან გამომდინარე.

ფრანგულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს TEF-ის (ფრანგული ენის განვითარების ტესტის) შეფასების სისტემას.

95 %-100 %- მდე – მაღალ დონეზე ფლობს შესწავლილ მასალას. შესწევს უნარი შეუცდომლად შეასრულოს ტესტის სმენითი და კითხვითი წერიითი და ზეპირი ნაწილი.

90%-95%-მდე – კარგად იცის შესწავლილი საკითხები, მაგრამ უშვებს მცირედ შეცდომებს.

80% – 90%-მდე შესწავლილი ცოდნის დონე საკმარისია.

60% –80%-მდე – ერკვევა შესწავლილი საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში. ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საჭიროებს გამყარებას.

60% - ზე ქვემოთ – შესწავლილი საკითხების სწავლის დონე არადამაკმაყოფილებელია, არ იცის საპროგრამო მასალა.

## სწავლის გაგრძელების საშუალება, კვალიფიკაციის ახაღდება

მიღებული ცოდნის საფუძველზე და სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებისა და შესაბამისი ცოდნის დონის დასადგენი გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლა განაგრძოს საფრანგეთისა და ფრანგულენოვანი ქვეყნების სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლებში.

# თურქული ენის საგანმანათლებლო პროგრამა

თურქულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## საგანმანათლებლო პროგრამებიზე ჩარიცხვის წინაპირობა

თურქული ენის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხებიან ის მოსამსახურეები, რომლებიც წარდგენილები არიან საზღვარგარეთ სასწავლო კურსებზე ან/და საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად, დანიშნულები ან გათვალისწინებული არიან დასანიშნად წამყვან თანამდებობებზე და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ თურქული ენის ცოდნის დონის ამაღლება/შესწავლა.

## საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს ქართველი სამხედრო მოსამსახურეების სწავლებასა და პროფესიულ გადამზადებას ნატოს სხვადასხვა სასწავლებლებში. თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლებში კვალიფიკაციის ამაღლების და სწავლების წინაპირობაა თურქული ენის ცოდნა.

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

თურქულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სამხედრო მოსამსახურე/სამოქალაქო პირის თურქულ ენაში მომზადება TÖMER –ის A 2 დონეზე. მოვლინებულ სამხედრო მოსამსახურე/სამოქალაქო პირს კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ექნება თურქული ენის ცოდნის A2-ის დონის შესაბამისი სასწავლო გრამატიკული, ლექსიკური და ფონეტიკური კომპეტენციები. მსმენელი შეძლებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში საჭიროებისამებრ გამოყენებას სპეციფიკური მიზნებისთვის, სწავლის გაგრძელებას თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებებში.

## შეფასების სისტემა

თურქული ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს თურქეთის რესპუბლიკის ანკარის უნივერსიტეტის TÖMER- ის ცენტრის მიერ შემუშავებულ შეფასების სისტემას.

90%–100%-მდე - მაღალ დონეზე ფლობს შესწავლილ მასალას. შესწევს უნარი შეუცდომლად შეასრულოს ტესტის სმენითი და კითხვითი ნაწილი, რომელიც მოიცავს შესწავლილი მასალის ლექსიკურ ერთეულებს და გრამატიკულ კონსტრუქციებს.

80%– 89.,50% მდე კარგად იცის შესწავლილი მასალა, მაგრამ მაინც უშვებს მცირედ შეცდომებს.

70% დან – 79.,50% მდე იცის შესწავლილი მასალა, მაგრამ უშვებს შეცდომებს.

60%დან – 69.,50% მდე შესწავლილი საკითხების ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ საჭიროებს გამყარებას.

60%-ზე ქვემოთ - შესწავლილი საკითხების ცოდნის დონე არადააკმაყოფილებელია, არ იცის საპროგრამო მასალა.

## სწავლის გზაჩვენების საშუალება, კვალიფიკაციის ახალდება

კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლების წარმატებით დასრულების და შესაბამისი ცოდნის სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლებში, რომელიც საწინდარია მისი კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარებისათვის საქართველოს თავდაცვის ძალებში.

# რუსული ენის საგანმანათლებლო პროგრამა

რუსულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობა

რუსული ენის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხებიან ის მოსამსახურეები, რომლებიც დანიშნულები ან გათვალისწინებული არიან დასანიშნად ისეთ თანამდებობებზე, რომლებსაც სამსახურებრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ რუსული ენის ცოდნის დონის ამაღლება/შესწავლა.

## საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

საქართველოს თავდაცვის ძალები დღის წესრიგში აყენებს რუსული ენის მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების მომზადებას, რათა კურსდამთავრებულმა უკეთ შეასრულოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობები.

## საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მოვლინებულ სამხედრო მოსამსახურეს/სამოქალაქო პირს კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ ექნება რუსული ენის ცოდნის A2-ის დონის შესაბამისი სასწავლო გრამატიკული, ლექსიკური და ფონეტიკური კომპეტენციები.

მეტი ყურადღება ეთმობა მოსმენითი, საუბრის, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების კომპონენტებს, რაც ითვალისწინებს იმას, რომ კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული ცოდნა, რომლის საფუძველზეც ის შეძლებს ავთენტური და ნახევრად ავთენტური საუბრის გაგებას, კომუნიკაციას სხვადასხვა თემებზე მრავალფეროვან სიტუაციებში და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში საჭიროებისამებრ გამოყენებას.

## შეფასების სისტემა

რუსულ ენაში ინტენსიური მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების დასრულების შემდეგ, მოვლინებულ სამხედრო მოსამსახურეებს / სამოქალაქო პირებს უტარდებათ დასკვნითი გამოცდა, რომელიც შედგება 5 ნაწილის-გან: ლექსიკა-გრამატიკა, მოსმენა, კითხვა, წერა და გასაუბრება. თუ მოვლინებულმა / ჩარიცხულმა სამხედრო მოსამსახურემ / სამოქალაქო პირმა დასკვნითი გამოცდის რომელიმე ნაწილში ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება, მას არ გადაეცემა ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.


შეფასების სისტემა:

1. მოსმენა – მინიმუმ 6 ქულა 10-დან;
2. ლექსიკა-გრამატიკა – მინიმუმ 18 ქულა 30-დან;
3. კითხვა – მინიმუმ 15 ქულა 25-დან;
4. წერა – მინიმუმ 9 ქულა 15-დან;
5. გასაუბრება – მინიმუმ 12 ქულა 20-დან.

## სწავლის გზაჩვენების საშუალება, კვლიდობის ახალდება

კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა სწავლების წარმატებით დასრულების და შესაბამისი სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს სხვადასხვა დონის დანიშნულების სპეციალურ კურსზე, რომელიც საწინდარია მისი კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარებისათვის საქართველოს თავდაცვის ძალებში.









## საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონები:

(+995) 577 39 01 94; (+995 032) 2 30 52 85

ელ-ფოსტა:

nda@mod.gov.ge

ვებგვერდი:

www.eta.edu.ge

Facebook: <https://www.facebook.com/eta.edu.ge>

Youtube: <http://www.youtube.com/c/ETAGeorgia>



ეროვნული თავდაცვის აკადემია  
2021